ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ხატია ირემაძე

სასწავლო თამაშების/მეთოდების დანიშნულება უცხო ენის სწავლების პროცესში.

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

თამილა ჩურკვეიძე

ხიჭაური 2021

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში „სასწავლო თამაშების/მეთოდების დანიშნულება უცხო ენის სწავლების პროცესში“ წარმოდგენილია თამაშების როლი და მნიშვნელობა სკოლებსა და სასწავლო პროცესში, აგრეთვე ის თუ რამდენად ეხმარება სასწავლო აქტივობები უცხო ენის სწავლების პროცესის გამარტივებას.

გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ემპირიულ კვლევა, მასწავლებელთა მასობრივ გამოკითხვა და მოსწავლეთა გამოკითხვა. რაც შეეხება კვლევის **მიზანს**, თეორიული მასალის საფუძველზე, გამოკითხვების შედეგების ანალიზსა და ემპირიულ კვლევაზე დაყრდნობით, დადგინდა თუ რამდენად აქტიურად იყენებენ პედაგოგები სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს უცხო ენის შესწავლისას, რამდენად არიან ბავშვები ჩართული მასში და რამდენად ზრდის ეს აქტივობები მოსწავლეებში მოტივაციას, უწყობს თუ არა ის ხელს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას.

უცხო ენის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია ენის შემსწავლელთა მოთხოვნების და საჭიროებების გათვალისწინება. სწორედ ამიტომ მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესი სხვადასხვა აქტივობებით გაამრავალფეროვონ და მათვის საინტერესო გახადონ. შესაბამისად აღნიშნული თემა საკმაოდ **აქტუალურია**.

გარდა თეორიული ნაწილისა, დასკვნით ნაწილში წამოდგენილია კვლევისათვის საჭირო კითხვარი და მიღებული შედეგების პროცენტული ცხრილი, რაც ნათლად ასახავს თემის აქტუალურობასა და საჭიროებას

Annotation

The presented master's thesis "The purpose of learning games / methods in the process of foreign language teaching" introduces the role and importance of games in schools and the learning process, as well as the extent to which learning activities help to simplify the process of learning a foreign language.

Both qualitative and quantitative research methods, such as empirical research, mass teacher survey and student survey are used. As for the purpose of the research, based on theoretical material, analysis of survey results and empirical research, it was found out how actively teachers use different learning activities in learning a foreign language, how intensively children are involved in them and whether these activities support to increase students' motivation and develop the learning skills.

Interest in foreign languages is growing day by day. In order to manage the learning process successfully, it is necessary to take into account the requirements and needs of language learners. This is why teachers try to diversify the lesson process with different activities and make it interesting for students. Accordingly, this topic is quite **relevant.**

In addition to the theoretical part, the final part presents the questionnaire required for the research and the percentage table of the obtained results, which clearly reflects the urgency and need of the topic.

სარჩევი

შესავალი ----------5

თავი I. უცხო ენის სწავლების ეფექტური გზები

1.1.უცხო ენის სწავლების მნიშვნელობა თანამედროვე მოქალაქის აღზრდაში (ინტერკულტურული მიმართულება, კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება) ----------7

1.2. წავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტურობა (თანამედროვე მიდგომები უცხო ენის გაკვეთილზე). ----------10

1.3. ტექნიკური საშუალებანი, როგორც ეფექტური გზა, უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში. ----------17

1.4. მიმზიდველი გაკვეთილის წარმართვის გზები. ----------23

I თავის დასკვნა ----------27

თავი II. სასწავლო თამაშების დანიშნულება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის.

2.1. მოტივაცია როგორც ძირითადი ფაქტორი სწავლების პროცესში ----------28

2.2. სამოტივაციო-სასწავლო თამაშების აღმზრდელობითი ფუნქცია ----------32

II თავის დასკვნა ----------37

თავი III. სხვადასხვა უნარების განმავითარებელი მეთოდები უცხო ენის სწავლებისას.

3.1. კითხვის უნარების განმავითარებელი უნარები ----------38

3.2. წერის უნარების განმავითარებელი უნარები ----------40

3.3. მოსმენის უნარების განმავითარებელი უნარები ----------43

3.4. მეტყველების უნარების განმავიტარებელი უნარები ----------46

III თავის დასკვნა ----------49

თავი IV. თამაშების გამოყენება პრაქტიკაში ----------50

4.1. ინტერკულტურული (კულტურათაშორის დიალოგის) სწავლების ეფექტური მეთოდები/აქტივობები.----------55

4.2. პრაქტიკული თამაშები და აქტივობები დაწყებით კლასებში. ----------59

4.3. პრაქტიკული მეთოდები და აქტივობები საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში.----------64

IV თავის დასკვნა ----------68

თავი V. კვლევა უცხო ენის გაკვეთილზე თამაშების როლის მნიშვნელობის გამოსავლენად. ---------- 69

ბიბლიოგრაფია ----------75

შესავალი

ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება სწავლა-სწავლების მეთოდები და საშუალებები, თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და უახლესი მეთოდებითა და ხერხებით გამდიდრებული. ხოლო ენის ათვისების პროცესში სასურველი შედეგის მისაღწევად ყველა სასწავლო ელემენტის ჩართვა აუცილებელია.

სწორედ ამიტომ, ჩემი ნაშრომის მიზანია: 1)განვმარტო ინტერკულტურული სწავლების არსი და მასთან დაკავშირებული აქტივობების გამოყენება უცხო ენის სწავლების პროცესში რამდენად დადებითად მოქმედებს ბავშვის მოქალაქეობრივ აღზრდაზე, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების და მეთოდების გამოყენებას ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნისათვის და რა არის იმისათვის საჭირო რომ დაგეგმო და განახორციელო მიმზიდველი გაკვეთილი, 2) რა როლი აქვს მოტივაციას სწავლა/სწავლების პროცესში და როგორ მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე ერთის მხრივ მასწავლებელი, ხოლო მეორეს მხრივ საასწავლო-აღმზრდელობითი თამაშების გამოყენება, 3)რა უნარების განვითარებაა საჭირო იმისათვის რომ სრულყოფილად მოხდეს ენის ათვისება და რა აქტივობები უნდა გამოვიყენოთ, რომ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას შევუწყოთ ხელი, 4) ბოლოს განვიხილავ იმ აქტივობებს და თამაშებს რომელსაც მე სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა უნარების განსავითარებლად ვიყენებ და რომლებიც მეხმარება, რომ გადავლახო სირთულეთა უმეტესი ფაქტორები, რომლებიც უცხო ენის სწავლის და პიროვნების ჩამოყალიბების პროცესებთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის სიახლეს - აქტუალურობას წარმოადგენს: ნაშრომში გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევარებისა და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნა, ასევე ჩემი პირადი პრაქტიკის და მუშაობის შედეგად მიღებული ცოდნა- გამოცდილება თამაშების მნიშვნელობასა და მის აქტუალურობასთან დაკავშირებით.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულება - მისი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ შემდგომში ის დაეხმარება მასწავლებლებს და მკვლევარებს იმის დადგენაში თუ

რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თამაშების გამოყენებას სასწალო პროცესში და როგორ მოქმედებს ის ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაზე.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისათვის შეიქმნა კითხვარი როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. გამოკითხული პასუხების შედეგების მიხედვით შეიქმნა პროცენტული მაჩვენებლი და ბოლოს დასკვნა.

ნაშრომის მასალად (საკვლევი ობიექტი)

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შესდგება, შესავალის, 5 თავის, კვლევის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

თავი I. უცხო ენის სწავლების ეფექტური გზები.

1.1 უცხო ენის სწავლების მნიშვნელობა თანამედროვე მოქალაქის აღზრდაში (ინტერკულტურული მიმართულება, კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება).

სხვადასხვა კულტურის ადამიანების ერთმანეთთან შეხვედრა თავისთავად გულისხმობს იმ კულტურათა შეხვედრას რომელსაც ეკუთვნიან ეს ადამიანები. უცხო ენის გაკვეთილი თავის თავში გულისხმობდა ენას როგორც ერთ მთლიან სისტემას. გასული საუკუნის 80-იან წლებში, უცხო ენის სწავლა მხოლოდ ლექსიკური და გრამატიკული ელემენტების სწავლას მოიცავდა. 90-იანი წლებიდან კი უკვე აქტიურად დაინერგა ინტერკულტურული საკომუნიკაციო მიმართულება. ეს კი იმას ნიშნავდა რომ უცხო ენის სწავლება გულისხმობდა არა მარტო ცალკეული სიტყვების ან გრამატიკული ერთეულების ცოდნას არამედ, მნიშვნელოვანია ყველა საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარება, როგორიცაა: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი. გარდა ამისა მნიშვნელოვანია რომ, ენის სწავლის დროს მოსწავლემ გაიგოს ამ ენისათვის და ქვეყნისათვის დამახასიათებელი სოციალური და კულტურული კომპონენტები, ამასთანავე მიიღოს ისე რომ მათ მიმართ დადებითად განეწყოს.

თუ კარგად დავაკვირდებით,ბავშვის მიერ მშობლიური ენის შესწავლა გარკვეულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში მიმდინარეობს და ის არამარტო ენას, არამედ სასაუბრო კომპეტენციებსაც ეუფლება. ეს იმას ნიშნავს რომ, ბავშვი ენასთან ერთად სწავლობს იმასაც სად, როგორ და რა კონტექსტში გამოიყენოს ის. აღსანიშნავია აგრეთვე რომ, ბავშვი ოჯახისა და იმ საზოგადოების საშუალებით, რომელშიც ის იზრდება, სწავლობს ქცევის წესებს, აკრძალვებს, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და ა.შ. უცხო ენის სწავლებისას კი მნიშვნელოვანი ფაქტორია რომ, ენასთან ერთად შეისწავლოს კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებები.

უცხო ენის შესწავლისას როცა ვაწყდებით მშობლიური კულტურასთან შესაბამისობას, ყველა ეს წესი რაც შესაბამისობაში მოდის ჩვენს წეს-ჩვეულებებთან უნივერსალურად მივიჩნევთ, თუმცა ხშირ შემთხვევაში უარვყოფთ ან კიდევ დავცინით ყველა იმ კულტურულ მახასიათებლებს რომელიც ჩვენი კულტურისაგან

განხვავებულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი სწავლების პროცესში რადგანაც, მან არამარტო უნდა შეაყვაროს მოსწავლეს მოცემული ენა,

არამედ დადებითი განწყობა შეუქმნას განსხვავებული კულტურის მიმართ, რათა მოსწავლეები იყვნენ უფრო ტოლერანტულები სხვა კულტურასთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე ახალი სასწავლო გეგმის შექმნისას უცხო ენების სტანდარტში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ისეთმა მიმართულებამ, როგორიცაა „კულტურათაშორისი დიალოგი“. ეს მიმართულება სწავლების ყველა საფეხურს მოიცავს და დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა დონეს ფარავს.

უცხო ენის სწავლა არ ნიშნავს მხოლოდ ენის სწავლას სასაუბრო ან გრამატიკულ დონეზე, ეს ასევე ნიშნავს უცხო სამყაროში შებიჯებას, განსხვავებული ცხოვრების წესების, შეხედულებების და ტრადიციების აღმოცენებასა და გაცნობას. აქედან გამომდინარე ენის სწავლა ნიშნავს არამარტო სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ განსხვავებული კულტურისადმი პატივისცემის უნარების განვითარებასაც. სწორედ ამ უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება სწავლების ერთ-ერთი მიმართულება „კულტურათაშორისი დიალოგი“. ამგვარი აქტივობები მოსწავლეებს უღრმავებს კულტურული კუთვნილების განცდას, ისინი აცნობირებენ რამდენად მრავალფეროვანია კულტურა, სწავლობს როგორც საკუთარი, ასევე უცხო კულტურის დაფასებას.

მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება მივაქციოთ მოსწავლეთა შორის ურთიერთობებსაც. ბავშვებს გაკვეთილზე უნდა მივცეთ საკუთარ თავზე საუბრის საშუალება, რათა გამოავლინონ საკუთარი პიროვნული თვისებები - ეს შეიძლება იყოს განცდები, გატაცებები, გემოვნება, შეხედულებები, საყვარელი საქმიანობა, ოცნებები, ცხოვრებისეული ისტორიები და გამოცდილებები და სხვ. ისინი გაეცნობიან როგორც თანაკლასელთა ასევე უცხოენოვან თანატოლთა შინაგან სამყაროს და ამ სახით შეძლებენ გაიგონ, რომ სხვისი ინდივიდუალურობა ისეთივე განუმეორებელია, როგორც საკუთარი, ისწავლიან ერთმანეთის დაფასებას, მოსმენას, გაგებას და თანადგომას. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ბავშვებს განუვითარებს შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ერთმანეთის და სხვების მიმართ.

ეროვნული სასწავლო გეგმა „კულტურათაშორისი დიალოგის“ ფარგლებში მოიცავს ისეთ მისაღწევ შედეგებს როგორიცაა: მშობლიური და უცხო ენის ერთმანეთან შედარება და მათ შორის მსგავსება-განსხვავების პოვნა, უცხოური კულტურიდან

ინფორმაციის ამოცნობა, უცხო და მშობლიური სოციოკულტურის შედარება, კულტურული განსხვავებებით დაინტერესება და სხვ.

დაწყებით საფეხურზე მისაღწევი შედეგები გულისხმობს კულტურის ისეთი ნიშნების ცნობას როგორიცაა: ზღაპრის გმირები, დროშა, გამოჩენილი ადამიანები, ქალაქები, ღირსშესანიშნაობები, ფულის ერთეული და სხვ. ასევე ამ საფეხურზე მოსწავლეები ეცნობიან ისეთ კულტურულ თავისებურებებს როგორიცაა: დღესასწაულები და ტრადიციები, ტრადიციული კერძები, ცხოვრების წესი, გართობა, რელიგიური დღესასწაულები, უცხოური და მშობლიური საკუთარი სახელების შედარება და სხვა. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ რომ, დაწყებით ეტაპზე გამომდინარე იქედან რომ ბავშვებს დაბალი ლექსიკური მარაგი აქვთ, სასურველია ინტერკულტურული უნარების განმავითარებელი აქტივობები წარვმართოთ მშობლიურ ენაზე.

საბაზო-საშუალო საფეხურზე მისაღწევი შედეგები გულისხმობს ისეთ კულტურულ და სოციოკულტურულ მიმართლებებს როგორიცაა: ახალგაზრდების ცხოვრება, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, სწავლა, გატაცებები, თავისუფალი დრო, საზოგადოებრივი ცხოვრება, ცნობები უცხო ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეკონომიკის შესახებ, კულტურა, ხელოვნება, ხურორთმოძღვრება, მწერლობა, გამოჩენილი ადამიანები და მათი ნაწარმოებები, კინოხელოვნება, სამეცნიერო მიღწევები, ეკოლოგია, ტექნიკური განვითარება და დღევანდელი მიღწევები. სწავლების ამ ეტაპზე კი მაშინ როცა მოსწავლეები საკმაო ლექსიკურ მარაგს ფლობენ და ამათანავე მაღალია ენის ფლობის დონე, სასურველია, ინტერკულტურული აქტივობები განხორციელდეს უცხო ენაზე.

ინტერკულტურული ხასიათის პროექტების განხორციელება გარდამტეხ როლს თამაშობს საკომუნიკაციო კომპეტენციების დაუფლებაში, განსაკუთრებით ისეთი პროექტების განხორციელება როგორიცა მაგალითად, დამმობილებული ქალაქების შესახებ, საყვარელი ზღაპრის გმირის შესახებ, გამოჩენილი ადამიანების შესახებ და ა.შ. საბაზო-საშუალო საფეხურზე, ამ ეტაპზე ხდება ძირითადად ბავშვების ჩამოყალიბება

თანამედროვე მოქალაქედ, სასურველია განხორციელდეს ისეთი ზოგადსაკაცობრიო თუ სოციალური თემების ირგვლივ, როგორიცაა: ადამიანების მიღწევები, გარემოს

დაცვა, დიდი გამოგონებები და გამომგონებლები, ცხოველთა დაცვა, ნარკომანია, მწეველები და სხვა.

სკოლებში ასეთი სახის აქტივობების შესრულება დადებითად მოქმედებს ბავშვების მოქალაქეობრივ აღზრდაში, უმაღლებს მათ სწავლის მოტივაციას, უვითარდებათ გუნდურად მუშაობის თვისებებს, უკეთ ითვისებენ უცხოურ კულტურას და ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. („ინტერკულტურული საკომუნიკაციო კომპეტენცია, უცხო ენის გაკვეთილის მიზანი“ მარიკა სიხარულიძე 07.11.2012წ).

1.2 სწავლების თანამედროვე მეთოდების ეფექტურობა (თანამედროვე მიდგომები უცხო ენის გაკვეთილზე).

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლება სწავლა-სწავლების მეთოდები და საშუალებები. დღესდღეობით აუცილებელია რომ მასწავლებლმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს მოსწავლის საჭიროებები და შესაძლებლობები. დღეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში და თანამედროვე მიდგომების საშუალებით ცოდნის მიღებას, სადაც მასწავლებელი დამხმარე ფუნქციას ასრულებს.

დღეს ძალიან ბევრი სხვადასხვა სახის სწავლა-სწავლების მეთოდები არსებობს, მაგრამ თუ რამდენად ეფექტური იქნება ესა თუ ის მეთოდი დამოკიდებულია იმაზე, როდის და როგორ გამოვიყენებთ მას.მეთოდი ეს არის დასახული მიზნის მისაღწევი გზა.როცა მასწავლებელი ირჩევს გარკვეულ მეთოდს მან უნდა განსაზღვროს მოცემული გაკვეთილის მიზანი და მისაღწევი შედეგები. მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შერჩეული რესურსები სრულ შესაბამისობასთან იყოს თემასთან.

ბავშვებს მოსწონთ თანამშრომლობითი სწავლება. ამისათვის კი შეგვიძლია გამოვიყენოთ სასწავლო და სოციალური პროექტები, კვლევები, დაკვირვება,

პრეზენტაცია, როლური თამაშები და სხვაა. შევეცდები ამ მხრივ საკუთარი გამოცდილება გაგიზიაროთ.

როცა ახალი სასწავლო წელი იწყება ვცდილობ, დავწერო სამოქმედო გეგმა როგორც სასკოლო ასევე, არაფორმალური განათლებისათვის. ვცდილობ შევარჩიო ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრეატიულობა, თანამშრომლობა, გადაწყვეტილების მიღება, გარემოზე და ერთმანეთზე ზრუნვა, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ. შედგენილ ჩემს გეგმას ვაცნობ მოსწავლეებს და ვეუბნები, შეავსონ ის აქტივობები რომელიც მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ. ბევრია ისეთი სასკოლო აქტივობები რომელსაც მე პირადად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში თუმცა დავასახელებ რამდენიმე მათგანს რომელსაც ყველაზე ხშირად ვიყენებ. ასეთია: მინი-„ჯიქსოუს“ მეთოდი. ეს მეთოდი ბავშვებს ეხმარებათ დიდი მასალის მოკლე დროში ათვისებაში. მოჩემულ თემას დავყოფ იმდენ ნაწილად რამდენი მოსწავლეც იქნება ერთ ჯგუფში. ბავშვები თავად ირჩევენ და ინაწილებენ თემის ნაწილებს, შემდეგ კი აცნობენ ჯგუფის სხვა წევრებს, ამის შემდეგ ყველა ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციებს მათ მიერ არჩეული თემის ირგვლივ. მოცემული აქტივობით ვახერხებ, როგორც დროის ეფექტურად გამოყენებას, ასმასთანავე ბავშვებს უვითარდებათ გუნდურობის, თანამშრობლობის, ურთიერთპატივისცემის, და პასუხიმგებლობის უნარი. კიდევ ერთი მეთოდი რომელსაც ვიყენებ ეს არის, „სასწავლო გაჩერებები“. ეს აქტივობა საკმაოდ კარგად მუშაობს რადგან თითოეულ გაჩერებაზ მოსწავლეებს ხვდებათ სხვადასხვა დავალება. ძალიან კარგად ვიყენებ ახალი მასალის ახსნის დროს. პირველ გაჩერებაზე მოსწავლეებს ვახვედრებ მათვის უცხო ტექსტს რომლის ახსნასაც ვაპირებ და ვაძლევ დავალებას წაიკითხონ ტექსტი სამჯერ და თარგმნონ დამოუკიდებლად. მეორე გაჩერებაზე ვახვედრებ ახალ ლექსიკურ ერთეულებს ერთ მხარეს ინგლისურად მეორე მხარეს სიტყვის განმარტებას და ვაძლევ დავალებას მათი ვარაუდით ეს სიტყვები შეაერთო შესაბამის განმარტებებთან, ბოლოს კი კიდე ერთხელ წაიკითხონ ტექსტი და შეამოწმონ რამდენად სწორად დააკავშირეს სიტყვების განმარტებებთან. მესამე გაჩერებაზე ვაძლევ იგივე ტექსტს თუმცა ეხლა ამ ტექსტიდან ამოჭრილი მაქვს და სავარაუდო

პასუხების სახით მაქვს მოცემული ახალი ლექსიკური ერთეულები, რომელიც წინა გაჩერებაზე შეხვდათ.ვაძლევ დავალებას კიდე ერთხელ წაიკითხონ ტექსტი და სიტვები ჩასვან სწორ ადგილას. მეოთხე გაჩერებაზე კი ისევ ვახვედრებ იმავე ტექსტს

ოღონდ, ტექსტი დანაწევრებული მაქვს ნაწილებად და მათ თანმიმდევრულად უნდა დაალაგონ და შეადგინონ მთლიანი ტექსტი. მეხუთე გაჩერების დავალება კი ის არის, რომ იგივე ტექსტის ყველა მათგანი კითხულობს ხმამაღლა და თარგმნის. ამ მეთოდის საშუალებით ბავშვებს გარდა იმისა რომ ვასწავლი უცხო ტექსტთან მუშაობას, ასევე ადგილზევე სწავლობენ ახალ სიტყვებს და ტექსტსაც რაც შემდგომ უადვილებთ საშინაო დავალების შესრულებას. ასევე ძალიან სახალისო და საინტერესო მეთოდია ქეისებით სწავლება. ეს მეთოდი გამოვიყენე სხვადასხვა ქვეყნის კულტურის და ტრადიციების შესწავლისას. ამ დროს მოსწავლეებმა ძალიან კარგად შეასრულესბ როლური თმაშები როცა ისინი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების როლს თამაშობდნენ. ასევე დავგეგმეთ და შევასრულეთ სხვადასხვა პროექტები და პრეზენტაციები. დავწერეთ და გამოვაქვეყნეთ სასკოლო კედლის გაზეთი. არანაკლებ საინტერესოა საგაკვეთილო პროცესში ტელეფონის მიზნობრივად გამოყენება. ამას ვიყენებ მაშინ როდესაც სხვადასხვა დიალოგები მინდა ვასწავლო ბავშვებს მაგ. ვაძლევ სიტუაციურ ამოცანას, რომ მიდიან დასასვენებლად და წინასწარ უნდა დაურეკონ ერთ-ერთ სასტუმროში ნომრის დასაჯავშნად. ამ დროს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს და ფრაზებს იყენებენ პრაქტიკაში და თან პროცესიც სახალისოა. ასევე, აქტურად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში ვიდეოფილმებს, შემდეგ განვიხილავთ ნანახ ფილს და ვმართავთ დისკუსიებს ინგლისურად.

იმისათვის რომ საგაკვეთილო პროცესი იყოს სახალისო, მიზანზე და მისაღწევ შედეგზე ორიენტირებული, აქტივობები უნდა შევარჩიოთ მიზნობრივად და სასწავლო მეთოდებით უზრუნველყოფილი. ამისათვის კი მასწავლებელმა შესაბამისად, საკმარისი დრო უნდა დაუთმოს გაკვეთილის დაგეგმვას. არის შემთხვევები როცა გაკვეთილი შეიძლება არ წავიდეს გეგმის მიხედვით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ წინასწარ მისი დაგეგმვა არ არის აუცილებელი.

აღსანისნავია აგრეთვე კლასგარეშე აქტივობებიც. მე პირადად ჩემს მოსწავლეებთან ერთად დედამიწის დღესთან დაკავშირებით გავაკეთეთ მინი აქცია „დავიცვათ ჩვენი გარემო“, რომლის ფარგლებშიც დავასუფთავეთ ზღვის სანაპირო და

პარკში დავრგეთ რამდენიმე ხე. ასევე ახალ წელს მოვაწყვე ჩემს მეხუთე კლასელებთან ერთად ღონისძიება ინგლისურ ენაზე სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს ქართული და სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციები ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით. („თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდები“ , თინათინ ბერიძე. 12.06.2019)

დღესდღეობით ფართოდ აღიარებულია ის კონცეფცია რომ უცხო ენის სწავლა/სწავლება მრავალმხრივი პროცესია და როგორც ენის შემსწავლელის, ასევე მასწავლებლის მხრიდან დიდი ძალისხმევას მოითხოვს. ბევრი ელემენტია გასათვალისწინებელი ენის ათვისების პროცესში, ხოლო იმისათვის რომ სასურველი შედეგი მივიღოთ აუცილებელია ყველა ამ ელემენტის ჩართვა სასწავლო პროცესში. ერთი საუკუნის წინ უცხო ენის გაკვეთილის მთავარ მიზანს წარმოადგენდა როგორც, გრამატიკული წესებისა და კლასიკური ნაწარმოებების თარგმნა, ასევე მათი დაზეპირება (გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი), თუმცა დღეს შეიცვალა და უცხო ენის გაკვეთლის მთავარ მიზანს წარმოადგენს როგორც, მოცემულ ენაზე კომუნიკაციას, ასევე ამ ენის ქვეყნის კულტურის სწორად აღქმა/პატივისცემა (კომუნიკაციური დიდაქტიკა). შეიძლება ვთქვათ, რომ შინაარსზე ორიენტირებულმა დისკუსიებმა და კრიტიკული აზროვნების განმავითარებელმა დავალებებმა ჩაანაცვლა ენობრივი მასალის დასწავლა თარგმნისა და მასალის დაზეპირების გზით. სწორედ ამიტომ, ენის სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.რაც იმას ნიშნავს ,რომ მას უნდა გამოუმუშავდეს შემდეგი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები:

1) მოსმენა
2) ლაპარაკი
3) კითხვა
4) წერა

ეს უნარ-ჩვევები კი შეგვიძლია დავყოთ რეცეპციურ ანუ გაგების ხელშემწყობ უნარჩვევებად (მოსმენა,კითხვა) და პროდუქტიულ ანუ სამეტყველო აქტივობის ხელშემწყობ უნარჩვევებად (ლაპარაკი,წერა). თუმცა გარდა ამ უნარ-ჩვევების განვითარებისა ენის შემსწავლელს, ასევე სჭირდება სწორი საწარმოთქმო და ორთოგრაფიული უნარების ფლობა.

საბოლოოდ კი შეიძლება ვთქვათ, რომ ენის სწავლა ენობრივი სისტემის შემდეგი ასპექტების დაუფლებასაც გულისხმობს, ესენია:

- ლექსიკა (ლექსიკურ-სემანტიკური სისტემა
- გრამატიკა (გრამატიკულ-სტრუქტურული სისტემა)
- მართლწერა და ინტონაცია (ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემა)
- მართლწერა (ორთოგრაფიული სისტემა).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ეს ელემენტები არა ცალკეულად, იზოლირებულად უნდა მივაწოდოთ, არამედ ერთიანად, ინტეგრირებულად, რათა სრულყოფილად მოხდეს ენის დაუფლება.

უცხო ენის შესწავლა რომ მხოლოდ ენობრივი სტრუქტურის სრულყოფილად დაუფლებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს ენ თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პროცესია. ენის ათვისების პროცესი განსხვავებული კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თავისებურებების დაფასებასა და პატივისცემასაც უნდა გულისხმობდეს, რათქმაუნდა ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლასთან ერთად.

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ მხოლოდ ენის სიტემის ან ენობრივი საშუალების ცოდნა (ლექსიკა,გრამატიკა, წარმოთქმა,მართლწერა) და სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა,ლაპარაკი, კითხვა, წერა) განვითარება, ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის არ არის საკმარისი. წარმატებული კომუნიკაციისათვის მოსწავლემ უნდა შეაძლოს:

- ✓ უცხო კულტურის აღქმა
- ✓ ამ კულტურის თავისბეურებების სწორად მიღება/შეფასება.
- ✓ განსხვავებული კულტურის პატივისცემა.

თანამედროვე სწავლების მეთოდების შემოღებასთან ერთად, რათქმა უნდა მოძველებული და დღევანდელ მოთხოვნებთან შეუსაბამოა ია ყველაფერი რაც აქტუალლური იყო ორი საუკუნის წინ. უცხო ენის სწავლა/სწავლება არ გულისხმობს მხოლოდ ენის კოგნიტურ და სტრუქტურულ დაუფლებას როგორც ეს იყოს გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდების ეტაპზე. თანამედროვე ენის სწავლების პროოცესში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს როგორც ენობრივი სტრუქტურების მიწოდება, ასევე შესასწავლი ქყვეყნისა და კულტურის (ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების აღმოჩენის, განსხვავებული ღირებულებების, მენტალობების, განსხვავებულლი კულტურის კონტექსტების) შესახებ გარკვეული ცოდნის მიღება, რათა ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყოს ინტერკულტურული კომუნიკაციისათვის. ამ

ყველაფრისათვის საჭირო უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას კი ხელს უწყობს მიმართულება „კულტურათა დიალოგი“.(ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016).

მასწავლებელი და მისი კვალიფიკაცია პირდაპირ არის დაკავშირებული მოსწავლის მიერ მიღზეულ შედეგებს. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლის აკადემიური შეფასება მით უფრო მაღალია რაც უფრო მაღალია მასწავლებლის პროფესიული განვითარება. კომუნიკაციაზე ორიენტირებული ანუ ეფექტურ შედეგებსა და მოსწავლეზე ორიენტირებული (ფოკუსირება მოსწავლეების საჭიროებებზე, მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე)მეთოდები, რომელიც მსოფლიოში უკვე კარგადაა დანერგილი და რომელსაც ქართველი მსაწავლებლების დიდი ნაწილი აქტიურად ცდილობს რომ გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში.

კომუნიკაციურ დიდაქტიკის სახელით ცნობილი, კომუნიკაციაზე ორიენტირებული მიდგომა ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში. ამ მეთოდის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ის ორიენტირებულია მოსწავლეზე და არა მასწავლებელზე და არ გულისხმობს მასწავლებელს, როგორც ერთპიროვნულ ლიდერის და მოსწავლეს - პასიური მიმღებს. ამასთანავე, კომუნიკაციური დიდაქტიკის მეთოდის ფარგლებში წამყვანი ადგილი არა გრამატიკას, როგორც ეს ამ მეთოდის დამკვიდრებამდე იყო, არამედ სოციო-კულტურულმა ინფორმაციებმა, კომუნიკაციის ვერბალურმა და არავერბალურმა ფორმებმა დაიკავეს. ავთენტურმა მასალებმა ჩანაცვლა გრამატიკაზე ორიენტირებული ტექსტები, მედია-საშუალებების გამოყენებამ - კლასიკური ნაწარმოებების დეკლარაციული კითხვა, ხოლო, ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების, ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში სწავლებამ კი წერის გზით ენის სწავლება ჩაანაცვლა. ნეოკომუნიკაციური დიდაქტიკა გულისხმობს, რომ გაკვეთილი უნდა იყოს ორიენტირებული მოსწავლეზე და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივ ქმედებებს, ინტერდისციპლინარულ სწავლებას და ენის მთლიან სწავლებას. ჩემოთვლილი პრინციპების მიხედვით, მასწავლებლის როლი საგაკვეთილო პროცესში შეიცვალა და მას არა ლიდერის, არამედ ფასილიტატორის, მრცეველის, მისია აკისრია. გაკვეთილი კი

მრავალფეროვანი სამუშაო მეთოდებითა და მედია-საშუალებების გამოყენებით მიმდინარეობს.

ბოლოს კი გთავაზობთ, თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილის მნიშვნელოვანი პრინციპების მოკლე ჩამონათვალს:

- ენა, როგორც საურთიერთობო საშუალება საყოფაცხოვრებო სიტუაციებში;
- სასაუბრო აქტივობების ერთდროული განვითარება;
- სხვა უცხო ენების ცოდნა შესასწავლი უცხო ენის გაკვეთილზე,რაც ამ ენის უკეთ გაგება/დამახსოვრებას უწყობს ხელს.
- გამოიყენო გრამატიკა, არა როგორც მიზანი, არამედ როგორც მიზნის მისაღწევი საუკეთესო საშუალება.
- მოსწავლეთა თავისუფალი და კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი დავალებებთა ტიპები.
- უხცო ენის შესწავლის პროცესში, ახალი მასალის გაგების და ათვისების ერთ-ერთი ხელშემწობი საშუალება - მშობლიური ენა.
- მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე და მასზე ორიენტირებული სწავლება (სამიზნე ჯგუფის კულტურის, მენტალიტეტის, ინტერესების გათვალისწინება);
- ფაქტების ცოდნასთან ერთად,უცხო კულტურის გამოცდილების განსხვავებული აღქმა;
- ნამდვილი ტექსტების მნიშვნელობა;
- როგორც დაბალ ასევე მაღალ აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის განსხვავებული დავალებების შერჩევა.
- უცხო ენის გაკვეთილზე მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება ისაუბროს საკუთარ თავზე და იმოქმედოს როგორც იდივიდმა ანუ გაკვეთილის პერსონალიზაცია.
- სხვადასხვა მეთოდების შეტანა გაკვეთილზე და ენის სწავლების პროცესში მედია-საშუალების როლი.
- ენობრივ ფორმაზე და არა შინაარსზე ორიენტირებული დავალებები, რომელშიც ყველა მოსწავლე თანაბრად არის ჩართული.
- დამოუკიდებელი მუშაობისათის ხელშემწყობი სტრატეგიების და ტექნიკების დაუფლება ენის სწავლა/სწავლების პროცესში.

(„თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი“, ეკატერინე შავერდაშვილი, 15.11.2013).

1.3 ტექნიკური საშუალებანი, როგორც ეფექტური გზა, უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში.

ენის სწავლების პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ბუნებრივ ან ხელოვნურ პირობებში. ბუნებრივია ბავშვის მიერ მშობლიური ენის შესწავლის პროცესი. ამ პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ენის შემსწავლელი, ე.ი ბავშვი, მშობლიური ენის შესწავლის მეშვეობით აზროვნებისა და ურთიერთობის იარაღს იძენს. ენის შესწავლის პროცესი ამნპირობებში ემსახურება ადამიანის სასიცოცხლომოთხოვნილების (ურთიერთობის მოთხოვნილების) დაკმაყოფილებას.

ენის შესწავლის ბუნებრივი პროცესისათვის დამახასიათებელია ის, რომ მისი მამოძრავებელი ძალა, ურთიერთობის მოთხოვნილება უწყვეტად, მუდმივად მოქმედებს. სანამ ადამიანი ადამაიანთა საზოგადოების წევრია (ეს კი მისი ნორმალური არსებობის აუცილებელი პირობაა), მას მუდმივად ექნება მოთხოვნილება ურთიერთობა დაამყაროს ამ საზოგადოების სხვა წევრებთან. ამავე მიზეზით საურთიერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებლობის ხასიათს ატარებს. გასაგებია, რომენის შესწავლის შედეგიი ასეთ პირობებში ენის შემსწავლელის სუბიექტურ თვისებებზე არ არის დამოკიდებული.

ბუნებრივ პირობებში ენის მასწავლებლის როლს ე.წ ენობრივი გარემო ასრულებს. ენობრივი გარემო ენის სწავლების რთული და ამასთანავე მეტად ზუსტი მექანიზმია. ის, ერთი მხრივ ამარაგებს ენის შესწავლის პროცესს ენობრივი მასალით, მეორე მხრივ კი ენის შემსწავლელის მიერ ენობრივ ფორმათა ხმარებაზე სხვადასხვაგვარი რეაქციების საშუალებით კონტროლს უწევს მათი ხმარების სისწორეს. ენობრივი გარემოს რეაქციები ენობრივი ფორმების ხმარებაზე შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. რეაქცია ჩვეულებრივ დადებითია, როცა ენის შემსწავლელის მიერ გამოყენებული ფორმა შეესაბამება საუბრის სიტუაციას. ურთიერთობა ასეთ შემთხვევაში შეუფერხებლად ხორციელდება და გამოყენებულ ენობრივ ფორმას თითქოს სანქცია ეძლევა შემდგომი არსებობისათვის.ენობრივი გარემოს რეაქცია უარყოფითია, როდესაც ენის შემსწავლელის მიერ ხმარებული ფორმა

ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც გარკვეული მნიშვნელობის გამოსახატავადენის შემსწავლელი ვერ ახერხებს ადეკვატური ფორმის ხმარებას.უარყოითი რეაქცია გზას უღობავსარასწორი ფორმის შემდგომ ხმარებას და აიძულებს ენის შემსწავლელს მოძებნოს სიტუაციის შესაფერისი ფორმა. აღსანისნავია, რომ ენობრივი გარემო არასოდეს არ უშვებს შეცდომას, ე.ი. ყოველთვის ზუსტად ეხმაურება ამა თუ იმ ენობრივი ფორმის ხმარებას და წარმოადგენს ენის იდეალურ მასწავლებელს.

ბუნებრივ პირობებშიენის წარმატებით შესწავლასის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ბავშვს (ენის შემსწავლელს) არ გააჩნია რაიმე სხვა ენის გამოცდილება და მის ცნობიერებაში მშობლიური ენის ჩვევათა დამკვიდრებას არაფერი არ აფერხებს.

მაგრამ ენის შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ შეიძლება ხელოვნურ პირობებშიც. ხელოვნურ პირობებში ისწავლება, როგორც წესი, უცხო ენა. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ შესასწავლი უცხო ენა ჩვეულებრივ მეორე ენაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენის შემსწავლელს უკვე აქვს აზროვნებისა და ურთიერთობის სრულფასოვანი იარაღი - მშობლიური ენა, და უცხო ენა მისთვის ფაქტიურად მოკლებულია იმ ძალას, რომელიც მის შესწავლას სასიცოცხლოდ აუცილებელს ხდის. უცხო ენის შემსწავლელმა იცის, რომ ყველა სიტუაციაში, ლექციის და გაკვეთილის სიტუაციის ჩათვლით, მას მშვენივრად გაუგებენ მშობლიურ ენაზე. ცხადია, ის იმიტომ არ სწავლობს უცხო ენას, რომ სხვანაირად გაუჭირდებოდა ურთიერთობის დამყარება საზოგადოების სხვა წევრებთან.

ენის შესწავლის ბუნებრივი და ხელოვნური პროცესების შედარებამ გვიჩვენა, რომ ხელოვნურ პროცესში სწორედ მაშინ ვხდებით სიძნელეებს, როდესაც ეს პროცესი შორდება ბუნებრივ პირობებს. აქ შედეგი აშკარა დასკვნის გაკეთება შეიძლება: ხსენებული სიძნელეების თავიდან ასაცილებლად უცხო ენის სწავლების მეთოდიკა უნდა შეეცადოს ხელოვნური პირობები ბუნებრივს დაუახლოოს.

როდესაც უცხო ენის სწავლების პროცესში ტექნიკურ საშუალებებზე ვსაუბრობთ, უმთავრესად ხმის ჩამწერ და გადამცემ აპარატურას ვგულისხმობთ. ენის შესწავლის ბუნებრივი პირობების ექვივალენტთა შექმნის თვალსაზრისით ამ აპარატურას დიიდ

როლი შეუძლია შეასრულოს უცხო ენის შესწავლის პროცესში. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უცხო ენის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი პირობაა სათანადო ენობრივი გარემოს უქონლობა. ამ გარემოს ერთი ასპექტის - სახელდობრ, მასალის მომარაგებისა და კონტროლის ასპექტის მეტ ნაკლებად სრულფასოვან ეკვივალენტს უცხო ენის მასწავლებელი წარმოადგენს. მაგრამ მასწავლებელი, თავი რომ გავანებოთ მის პროფესიულ კვალიფიკაციას, ერთგვარი თვისებრივი ეკვივალენტია. რა შეეხება ენობრივ გარემოს რაოდენობრივ მხარეს, ე.ი ენის შემსწავლელზე ენობრივი გარემოს ზემოქმედების აბსოლიტურ დროს, მასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ბუნებრივი გარემოს სრულფასოვანი ეკვივალენტი , უშუალო და უწყვეტელი ენობრივი ურთიერთობა რომ ჰქონოდა დამყარებული ენის შემსწავლელთან იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ის ენას შეისწავლიდა.

როგორც ვიცით, უცხო ენის მასობრივი შესწავლის ვითარებაში ასეთი პირობების შექმნა შეუძლებელია. ამიტომ უცხო ენის შესწავლის პროცესში უნდა დავჯერდეთ მასწავლებელსა და ენის შემსწავლელს შორის ენობრივი ურთიერთბის დროის მაქსიმალურ გაზრდას. ამას შეიძლება სხვადასხვა გზოით მივაღწიოთ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ისეთი მეთოდებით სწავლება, რომ მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს მხოლოდ უცხო ენაზე ესაუბროს სემსწავლელს.

ტექნიკური საშუალებათა გამოყენებას უცხო ენის სწავლებაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამა ადრე მათი გამოყენება არ ისახავდა მიზნად სასწავლო დროის გაზრდას. ამჟამად ტექნიკურ შაშუალებებს გაცილებით ფართოდ იყენებენ და რაც მთავარია, სხვა ამოცანებთან ერთად მათ დაეკისრათ სწავლების აბსოლიტური დროის გაზრდა. ტექნიკური საშუალებებით სწავლების დროის მნიშვნელოვანი გაზრდა შესაძლებელი გახდა საკმაოდ მარტივი ტექნიკური სიახლის წყალობით. საქმე ის არის, რომ ნაცვლად სანიმუშო ტექსტებისა და სავარჯიშოების ჯგუფური მოსმენისა, მიმართეს მათი ინდივიდუალური მოსმენის ხერხს ყურმილების საშუალებით. ამისათვის მოწყობილია სპეციალური აუდიტორიები, ამ აუდიტორიებში მაგნიტოფონი მოთავსებულია თვით მასწავლებლის მაგიდაში.მაგნიტოფონიდან ყოველ სამუშაო ადგილზე გაყვანილია ყურმილისა და სამიკროფონო ხაზები. საჭიროების შემთხვევაში ენის შემსწავლელს შეუძლია

მოისმინოს სანიმუშო ტექსტი ან ჩაიწეროს თავისი წარმოთქმა. მთელ ამ პროცეს განაგებს თვით მასწავლებელი.

გავარკვიოთ ახლა, თუ რა გზით ხერხდება სასწავლო დროის ადიდება. ცნობილია რომ უცხო ენის ჯგუფური სწავლების პროცესში ცალკეული შემსწავლელის აქტიური სამეტყველო პრაქტიკის დრო დაახლოებით იმდენით ნაკლებია გაკვეთილისათვის განკუთვნილი დროსთან შედარებით, რამდენიც შემსწავლელია ჯგუფში. მაგალიტად, თუ ჯგუფში 15 შემსწავლელია, 45წუთიანი გაკვეთილიდან ყოველი შემსწავლელის აქტიური სამეტყველო პრაქტიკა შეადგენს 3 წუთს, დანარჩენი 42 წუთი ე.ი დროის დიდი ნაწილი, ე.წ პასიური პრაქტიკის დროა. ცნობილია ისიც, რომ ეს 42 წუთი მეტად თუ ნაკლებად იკარგება შემსწავლელთათვის, რადგან მთელი რიგი სპეციფიკური ფაქტორების გამო (მასწავლებლის უნარი, შემსწავლელის ინდივიდუალური თვისებები და სხვა) ვერ ხერხდება შემსწავლელთა აქტიური ყურადღების გამოწვევა მთელი გაკვეთილის მანძილზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასწავლებელი ინდივიდუალურ სწავლებას ატარებს ცალკეულ შემსწავლელთან.

ჩვენს მიერ სანიმუშოდ აღებულ აუდიტორიაში ყოველი შემსწავლელის აქტიური პრაქტიკის დრო ერთიხუთად მაინც შეიძლება გაუდიდდეს. ეს შემდეგნაირად ხერხდება. ვიდრე მასწავლებელი ცალკეულ შემსწავლელთან მუშაობს, დანარჩენი შემსწავლელნი ყურმილების საშუალებით ისმენენ სანიმუშო ტექსტს ან საგანაგებოდ შედგენილ სავარჯიშოებს. სვარჯიშოები გაკვეთილის მასალაზეა შედგენილი და ჩაწერილი ფირზე ინტერვალებით. ინტერვალში ენის შემსწავლელი ასრულებს სავარჯიშოთი გათვალისწინებულ ამოცანას. ყურმილის უპირატესობა მოსმენის ჯგუფურ ჯგუფურ წესთან შედარებით აშკარაა. ტექნიკურ საშუალებათა მეშვეობით აუდიტორია თითქოს ორად არის გაყოფილი და ორივე ნაწილს თავისი მასწავლებელი ჰყავს. ერთი ნაწილია თვით მასწავლებელი და ის შემსწავლელი, რომელთანაც მასწავლებელი ინდივიდუალურ მუშაობას ატარებს, ხოლო მეორე ნაწილი დანარჩენი შემსწავლელები შეადგენენ. ამ მეორე ნაწილის მასწავლებლის როლს მაგნიტოფონი და ყურმილები ასრულებენ. ყურმილის უპირატესობა ისიც არის, რომ ის იძულებით იწვევს შემსწავლელთა აქტიურ ყურადღებას და ეს იმით აიხსნება, რომ როცა

შემსწავლელს ყურმილი უკეთია, მას არაფერი არ ესმის. გარდა ფირზე ჩაწერილი ტექსტისა ან სავარჯიშოსი ე.ი გარე ხმაურს არ შეუძლია მიიპყროს მისი ყურადღება.

ასეთი სახის მუშაობას სხვა დადებითი მხარეებიც აქვს. მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ შემსწავლელს არ ესმის თავისი ამხანაგების შეცდომებიც. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ენის სწავლების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა როცა ერთ ჯგუფში სწავლობენ ძლიერი და სუსტი შემსწავლელები. რასაკვირველია, ძლიერი შემსწავლელისათვის საკმაოდ მოსაწყენია სუსტი შემსწავლელის პასუხის მოსმენა. ის უკვე აღარ უშვებს ამ შეცდომებს და, ცხადია, მათი გასწორებაც მათთვის დაკარგული დროა. ყურმილის საშუალებით კი ის ამ დროს იყენებს სწორი ჩვევების შემდგომი განმტკიცებისათვის. მაგრამ ასეთი ვითარება არ ნიშნავს იმას, რომ მეორე ნაწილს შემსწავლელებისას, რომლებიც ყურმილოით მუშაობენ გამოეპარება ტიპიური შეცდომებიც. როცა ნეის შემსწავლელი პასუხის დროს ტიპიურ შეცდომას უშვებს, მასწავლებელს შეუძლია ან იქვე შეწყვიტოს ტექსტის გადაცემა და აუხსნას ჯგუფს ეს შეცდომა, ანდა ჩანიშნოს ის და ტექსტის მოსმენის შედეგ განმარტოს.

ტექნიკური საშუალებათა მეშვეობით შესაძლებელი ხდება თავიდან ავიცილოთ უცხო ენის შესწავლის კიედევ ერთი ნაკლი. საქმე ის არის, რომ ენობრივ გარემოს ბუნებრივ პირობებში სათანადო ენობრივი კოლექტივის მრავალი წარმომადგენელი ქმნის. ენის შემსწავლელი ბუნებრივ პირობებში ეჩვევა მრავალი მოლაპარაკის წარმოთქმის ინდივიდუალურ მხარეებს, ამიტომ მისთვის ამ ენობრივი კოლექტივის ახალი წარმომადგენლების გაგება ძნელი არ არის. ხელოვნურ პირობებში ენობრივ გარემოს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი (ან, უკეთეს შემთხვევაში, ორი) მასწავლებელი ცვლის. უცხო ენის შემსწავლელი ეჩვევა ამ ერთი მასწავლებლის წარმოთქმას დახშირად ვერ გებულობს ამ ენაზე სხვა მოლაპარაკეთა წარმოთქმას. ტექნიკურ საშუალებათა მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენის შემსწავლელს სხვადასხვა დიქტორის წარმოთქმა (ამასთანავე ეს წარმოთქმა სანიმუშოა, რასაც ყოველთვის ვერ ვიტყვით მასწავლებელტა წარმოთქმაზე) მოვასმენინოთ და ამით დავუახლოვოთ ენის

შესწავლის ხელოვნური პროცესი ბუნებრივ პირობებს. საქართველოში უცხო ენათა სწავლების პროცესი ტექნიკური საშუალებათა მეტ-ნაკლებად ფართო მაშტაბით გამოყენების ცდას გასული საუკუნის 60-იან წლებში აწარმოებდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი. მოაწყვეს და აამუშავეს ზემოაღწერილი ტიპის ათი აუდიტორია. შეიქმნა ოცდააათადგილიანი ინდივიდუალური მუშაობის კაბინეტი და სახელოსნო, აგრეთვე უცხო ენაზე ჩანაწერების ფონოთეკა.

ინდივიდუალური მუშაობის კაბინეტში თითოეული მოსწავლის განკარგულებაში იქნება მაგნიტოფონი, მიკროფონი და ყურმილი. ამ კაბინეტში სტუდენტები შეძლებენ ზეპირი საშინაო დავალებების შესრულებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ამისათის სანიმუშო ტექსტის მოსმენაა საჭირო. გარდა ამისა მასწავლებლის დავალებით სტუდენტები ამ კაბინეტში სხვადასხვა სახის დამოუკიდებელ სამუშაოს შეასრულებენ.

ინდივიდუალური მაგნიტოფონები კაბინეტში დაკავშირებული იქნება მორიგე მასწავლებლის ან ლაბორანტის მაგიდასთან. ამრიგად, მორიგე მასწავლებელს ან ლაბორანტს საშუალება ექნება კონტროლი გაუწიოს ყოველი სტუდენტის მუშაობას და, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩაერთოს კიდეც მუშაობის პროცესში. ასეთი ორმხრივი კაბშირი, რასაკვირველია, გაზრდის სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობის ნაყოფიერებას.

ინდივიდუალური მუშაობის კაბინეტი დიდ დახმარებას უწევს სტუდენტებს უცხო ენის დაუფლებაში. მას ფაქტიურად ისეთივე მიზანი აქვს, როგორც ზემოაღწერილ აუდიტორიებს: გაუდიდოს სტუდენტებს სამეტყველო პრაქტიკის დრო. განსხვავება ის არის, რომ ინდივიდუალური მუშაობის კაბინეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ სამეტყველო პრაქტიკა ლექციების შემდეგ, რასაც ისინი ამჟამად ვერ ახერხებენ.

ის, რაც ზემოთ უცხო ენების სწავლების პროცესში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაზე ითქვა, როგორც აღვნიშნეთ, ეხება თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს. მსგავსი მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ჩაატარა. მაშასადამე, ლაპარაკი უმაღლეს სასწავლებელზე. რაც შეეხება საშუალო სკოლას, იქ,

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება უცხო ენათა სწავლების პროცესში შემთხვევით ხასიათს ატარებს და ამიტომ სათანადო ეფექტურობას მოკლებულია.ჩემი აზრით, უკვე დროა დაისვას საშუალო სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ და გეგმაზომიერად გამოყენების საკითხი.

საშუალო სკოლის მოწაფეები, როგორც ცნობილია, ხშირად არც ისე ხელსაყრელ პირობებში სწავლობენ უცხო ენებს. ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენება რადიკალურად შეცვლის მდგომარეობას. აღწერილი საშუალებებიდან სკოლაში უპირველე ყოვლისა უნდა შეიქმნას ხსენებული აუდიტორიები. ასეთი აუდიტორიების მოწყობა არ უნდა იყოს ძნელი, რადგან საჭირო აპარატურის შეძენა საკმაოდ ადვილი საქმეა. ცდის სახით კი თასეთი აუდიტორიები თავდაპირველად შეიძლება მოეწყოს საბაზო სკოლებში. (ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1961წ, „ტექნიკური საშუალებანი უცხო ენის სწავლების პროცესში“ ა. ალხაზიშვილი, გვ.50-53)

1.4 მიმზიდველი გაკვეთილის წარმართვის გზები.

მასწავლებელმა, პროფესიული სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, რომ კარგად იცოდეს „...სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად.“ როდესაც ვსაუბრობთ მიმზიდველი გაკვთილის გზებზე საჭიროა ვიცოდეთ რა არის გასათვალისწინებელი იმისათვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს დაგეგმოს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებული გაკვეთილი, რომელსაც ლიტერატურაში მოვიხსენიებთ როგორც კონსტრუქტივისტული გაკვეთილის სახელით.

მოქნილობა, არის ის რისი სახელითაც მოიხსენიება კონსტრუქციული გაკვეთილი. მასწავლებელი ამ მოდელის მიხედვით, პროცესის დამგეგმავის, წარმმართველის, შემფასებლის და დამხმარის როლს ასრულებს, შესაბამისად მან გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლეებმა თავად შეძლონ საგნების მნიშვნელობის და მათ შორის კავშირების პოვნა, ანალიზი, ცოდნის აგება, ცალკეული ელემენტების გაერთიანებით და ახალი სტრუქტურის სახით სათანადო დასკვნების

გამოტანა. ეს ყველაფერი კი დადებითად მოქმედებს მოსწავლის აქტივობასა და ინტერესებზე.

მასწავლებელმა გარკვეული ნაბიჯები უნდა გაითვალისწინოს გაკვეთილის გეგმის დაწერამდე:

- **საჭიროა გაკვეთილის ეტაპების/ფაზების კარგად გააზრება** - გაკვეთილის საწყის ეტაპზე ხდება მოთელვა ანუ გამოწვევა. ამ ეტაპის მიზანია აღნიშნულ საკითხზე, საგანზე ან ფაქტზე არსებული ცოდნის გააქტიურება. მოსწავლეები იხსენებენ წინარე ცოდნას აღნიშნული თემის ირგვლივ, მსჯელობენ, განიხილავენ და შედიან ახალ ცოდნაში.გაკვეთილის ძირითად ნაწილი თემის სიღრმისეულ წვდომას გულისხმობს. ამ ეტაპზე ხდება თემის უფრო სიღრმისეული გააზრება და წინარე ცოდნის დაკავშირება ახალთან. ამასთანავე აუცილებელია, რომ საწყის ფაზაზე აღზრული მოტივაცია და ინტერესი შენარჩუნდეს და განმტკიცდეს. რეფლექსიის ანუ შეჯამების ეტაპზე ხდება ახალი და წინარე ცოდნის გაერთიანება, მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. წარმატებული და მიმზიდველი გაკვეთილის ჩასატარებლად ამ სამივე ფაზის გათვალისწინება აუცილებელია, თანამედროვე მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით, რომელიც გაკვეთილის გეგმაში ადეკვატურად უნდა იყოს გაწერილი.
- **გაკვეთილის სტრუქტურის სტრატეგიებიდან უნდა შეარჩიოს სწორი და შესაბამისი სტრატეგია** - მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რომელი სტრატეგია შესაფერისია მოცემული გაკვეთილისათვის, პირდაპირი , როცა მასწავლებელია პროცესის აქტიური მონაწილე (მაგ. ლექციური ტიპის გაკვეთილი), თუ არაპირდაპირი, როცა მოსწავლეა პროცესის აქიური მონაწილე (მაგ. დისკურია-მსჯელობა). სტრატეგია შეარჩეული უნდა იყოს მიზნის მიხედვით და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მასთან. თუმცა შესაძლებელია ამ ორივე სტრატეგიის ერთ და იმავე გაკვეთილზე გამოყენებაც.
- **უნდა შეარჩიოს სწორი მიდგომა** - აირჩიოს უნდა ან დედუქციური (ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ), ან კიდე ინდუქციური (ანუ კონკრეტულიდან ზოგადისაკენ).

მოქნილი და მიმზიდველი გაკვეთილის დაგეგმვისათვის მარტო ეს როდია საკმარისი. ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაითვალისწინოს:

1. მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარ-ჩვევები, მოტივაციური, კულტურული, ემოციური, კოგნიტური, სოციალური და სხვა თავისებურებები.
2. სამართლებრივი, ადგილობრივი, დროითი, ინსტიტუციონალური და სხვა მონაცემების გათვალისწინებაც აუცილებელია.
3. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე უნდა იყოს მორგებული.
4. უნდა განსაზღვროს გაკვეთილის როგორც სასწავლო, ასევე აღმზრდელობითი მიზნები.
5. მიზები და შედეგები მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს გაწერილი.
6. უნდა გამოყოს ძირითადი პუნქტები.
7. სტრატეგიები განსხავებულად უნდა იქნას გამოყენებული.
8. მრავალფეროვანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.
9. უნდა შეარჩიოს მუშაობის ფორმები (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილური)
10. წინასწარ შეარჩიოს და მოამზადოს საჭირო რესურსები.
11. დაგეგმილი გაკვეთილი მოსწავლეს უნდა სთავაზობდეს ახალ სასწავლო შანსებს და საშუალებას.
12. მისაღწევი შედეგები მუდმივად უნდა აკონტროლოს.

გაკვეთილის კომპონენტების და მათ შორის კავშირის განსაზღვრა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მასწავლებელმა გაკვეთილის თემის შერჩევასთან ერთად უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანიც. მიზანი კი თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან და უნდა იყოს მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და ინტერესებს. სასაწავლო მიზნების განსაზღვრა ქმნის საფუძველს როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებისათვის, ასევე მოსწავლეთა განვითარების შესამოწმებლად.

მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, მარტივი და რელური და ამასთანავე უნდა იყოს მარტივად გაზომვადი და შეფასებადი.

გაკვეთლის მიზნების ფორმულირებისათვის საჭიროა ისეთი ზმნების გამოყენება როგორიცაა - გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გაანალიზებენ და ა.შ აუცილებელი სასწავლო მეთოდებისა და აქტივობების განსხვავება ერთმანეთისაგან რაც ხშირ შემთვევაში მასწავლებლებს უჭირთ. აქტივობას დაესმის კითხვა - რას

ვაკეთებ? მაგ. ჯგუფური მუშაობის წესების შემუშავება. ხოლო, მეთოდებს დაესმის კითხვა როგორ ვაკეთებ? მაგ. ჯგუფური მუშაობის შემუშავება „გონებრივი რუკით".

ბოლოს,აუცილებლად უნდა გავითავლისწინოთ, რომ შერჩეულმა ხერხებმა დაგვეხმაროს მიზნის მიღწევაში და განვსაზღვოთ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა (მასწავლებლის აქტივობა) მიზნის მისაღწევად და რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ (მოსწავლის აქტივობა), მიზნის მისაღწევად რამდენი აქტივობა დაგვჭირდება, როგორ უნდა დავალაგოთ აქტივობები, ჩვენს მიერ შერჩეული აქტივობა მორგებულია თუ არა მოსწავლის ცოდნას, უნარებსა და შესაძლებლობებს.

რაც შეეხება სასწავლო მეთოდების შერჩევას, აქაც გარკვეული კრიტერიუმების შერჩევაა საჭირო, ესენია:

- ✓ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს სასწავლო აქტივობებთან და ორგანიზების ფორმებთან.
- ✓ შესაძლებელი უნდა იყოს ამ მეთოდების განხორციელება ტექნიკურად.

ბოლოს კი მოცემული თავის შეჯამებისათვის მოკლედ ჩამოვაყალიბოთ რა არის საჭირო მიმზიდველი გაკვეთილის დასაგეგმად:

- ❖ სწორად შევარჩიოთ სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტსაიტები და სხვ.)
- ❖ განვსაზღვროთ თითოეული აქტივობისათვის საჭირო დრო - გაკვეთლის ფაზების, სტატეგიების და მეთოდების მიხედვით მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს საჭირო დროს, თუმცა გაკვეთილის მსვლელობისას შეიძლება ცვლილებები შეიტანოს სტუაციისა და ბავშვების ინტერესების მიხედვით.
- ❖ მასწავლებელმა კლასის ორგანიზების ფორმები (ჯგუფური/წყვილებში მუშაობა თუ ლექციური მეთოდი)შესაბამისაობაში უნდა მოდიოდეს სასწავლო აქტივობებთან და მეთოდებთან.
- ❖ ამა თუ იმ აქტივობების და მეთოდების შერჩევის დროს მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს თითოეული მათგანის მისაღწევი შედეგები და მიზნები. უნდა გაწეროს

გეგმაში ესა თუ ის მეთოდი და აქტივობა რა უნარებ ის განვიტარებას უწყობს ხელს მოსწავლეებში.

❖ სასურველი შედეგის შესამოწმებლად მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს სასწავლო შედეგები. გეგმაშ უნდა აღწეროს შეფასების რა ტიპებს და გზებს

გამოიყენებს გაკვეთილზე. აუცილებელია შეფასების რუბრიკის არსებობა გეგმას თანდართული დოკუმენტის სახით.

❖ შეფასების რუბრიკასთან ერთად მასწავლებელმა თან უნდა დაურთოს გეგმას თვითშეფასების რუბრიკა, რომელსაც გაკვეთლის ბოლოს თავად შეავსებს. შეფასების რუბრიკა მასაწავლებელს საშუალებას აძლევს უფრო დახვეწოს შემდეგი გაკვეთილები, შეიტანოს გარკვეული ცვლილებები და დამატებები, განსაზღვროს გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეები.

სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარებისათვის გაკვეთილის გეგმა უნდა იყოს მოქნილი და შემოქმედებითი. („როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი“ სოფიკო ლობჟანიძე, 27.12.2015წ)

<u>პირველი თავის დასკვნა:</u> ინტერკულტურული სწავლება და მასთან დაკავშირებული აქტივობების გამოყენება უცხო ენის სწავლა-სწავლების პროცესში დადებითად მოქმედებს ბავშვის მოქალაქეობრივ აღზრდაშიმ უმაღლებს მათ სწავლის მოტივაციას, უვიტარდებათ გუნდურად მუშაობის თვისებები, უკეთ ითვისებენ უცხო კულტურას და ეზიარებიან ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს.

გამომდინარე იქედან, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვიტარებასთან ერთად იცვლება სწავლა-სწავლების მეთოდები და საშუალებები, თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული და უახლესი მიდგომებით გამდიდრებული. ხოლო ენის ათვისების პროცესში, სასურველი შედეგის მისაღებად ყველა სასწავლო ელემენტის ჩართვა აუცილებელია. ამასთანავე, ტექნიკური საშუალებათა ფართოდ გამოყენება ხელსაყრელ გარემოს შეუქმნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სასწავლო პროცესის

მუდმივი განვითარებისათვის გაკვეთილის გეგმა უნდა იყოს მოქნილი და შემოქმედებითი.

თავი II. სასწავლო თამაშების დანიშნულება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის

2.1 მოტივაცია როგორც ძირითადი ფაქტორი სწავლების პროცესში.

დღეს ყველა ერთხმად თანხმდება იმაზე რომ მოსწავლის წარმატების უმთავრეს ფაქტორს სწავლის მოტივაცია წარმოადგენს, ხოლო მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხი კი დამოკიდებულია მასწავლებელზე და არა ცალკეულ დისციპლინებზე.

როცა მოსწავლე სკოლაში მიდის მას მოტივაციის გარკვეული ხარისხი აქვს უკვე. მნიშვნელოვანია ის, რომ მზად იყოს სხვადასხვა კომპეტენციის დასაუფლებლად, თუმცა მასწავლებლის დამოკიდებულება და მისი ურთიერთობა ბავშვთან უდიდეს როლს ასრულებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

მოტივაციის განხილვისას განათლების ფსიქოლოგები გამოყოფენ ორ ფაქტორს - შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია დამოკიდებულია მოსწავლის თანდაყოლილ ინტერესებზე და მოთხოვნილებებზე, რაც ამა თუ იმ თემის/საგნის შესწავლის სურვილში აისახება. ასეთი მოსწავლეების მთავარი მიზანი ჯილდოები ან ნიშნები არ წარმოადგენს.

გარე ფაქტორები კი პირდაპირ კავშირშია ისეთ თემებთან, როგორიცაა, შეფასება, წამახალისებელი მატერიალური ჯილდოები და ამასთანავე უარყოფითი შეფასების ან სასჯელისათვის თავის არიდების მიზნით სწავლა.

მკვლევარები თანხმდებიან, რომ მასწავლებლის მიზანია მოსწავლეში განავითაროს შინაგანი მოტივაცია და ამისათვის ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, თუმცა არის შემთხვევები როცა პირიქით ხდება და გარე ფაქტორების საშუალებით ცდილობენ აამაღლონ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია, რაც დიდი შეცდომაა. მნიშვნელოვანია,

მოსწავლეს ვაგრძნობინოთ, რომ ის არის სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილი, ამისათვის კი მას უნდა შევუქმნათ დადებითი გარემო საკუთარი მიზნების და ოცნებების გამოსავლენად. ფსიქოლოგები ასევე გვირჩევენ, რომ მოტივაციის რამდენიმე ფაქტორს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ასეთებია: **დადებითი უკუკავშირი** - ამაში შეიძლება გავაერთიანოთ ქება, წახალისება, განმავითარებელი შეფასება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე და ეხმარება მას განვითარებაში. მიღწევების და წარმატებების აღნიშვნასთან ერთად უნდა აღინიშნოს და ყურადღება გამახვილდეს მარცხსა და წარუმატებლობაზე, როგორც სწავლის განუყრელი ნაწილი. ამასთანავე ის არა უარყოფითი მხრით, არამედ დადებითად უნდა შეფასდეს, რომ შეცდომების გამოსწორებაზე იყოს ორიენტირებული.

შესრულებადი ამოცანის დასახვა - მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს უნდა დავუსახოთ მარტივი და შესრულებადი ამოცანები, მათი დახმარებით კი ნელნელა ავუმაღლოთ ცოდნა და შევძინოთ სხვადასხვა უნარები.

რეალური და მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული თემა - სასწავლო მასალა უნდა იყოს შერჩეული მათი ასაკის და ინტერესებიდან გამომდინარე, ამასთანავე კარგად უნდა ასახავდეს მათ რეალურ ცხოვრებას.

არჩევანის უფლების მიცემა - მოსწავლეთა სტიმულირებისათვის აუცილებელია მას ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება. მაგ. მივცეთ მოსწავლეს მსგავსი ტექსტებიდან ან თემებიდან არჩევანის გაკეთების საშუალება. ამით ის სასწავლო პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული.

კუთვნილების შეგრძნების გაღვივება - იმდენად რამდენადაც კუთვნილების შეგრძნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ადამიანისათვის, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის ამ შეგრძნების გაღვივება ფუნდამეტური და აუცილებელია. მასწავლებლის მთავარი დანიშნულებაც მყუდრო, პოზიტიური და სანდო გარემოს შექმნით მოსწავლეებში სკოლის, კლასის, შეფასების და ზოგადოდ სასწავლო გარემოსადმი კუთვნილების შეგრძნების გაღვივებაა.

მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობა - მასწავლებელმა მოსწავლისადმი კომუნიკაციის, სიმპათიის და თანაგრძნობის გამოხატვით უნდა შეძლოს მზრუნველობასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

„ურჩი“ მოსწავლეებისათის სასწავლო სტრატეგიების შემუშავება - ძნელად აღსაზრდელი ან დაბალი შეფასების მქონე მოსწავლეების უარყოფითი შედეგების მიზეზი ძირითადად დაბალი მოტივაცია წარმოადგენს. ასეთ მოსწავლეებთან მუშაობისათვის და წარმატებული შედეგის მისაღწევად საჭიროა სწორი სასწავლო სტრატეგიების დასახვა. მაგალითად, გეგმის შემუშავება სხვადასხვა აქტივობებისათვის, შავი ნამუშევრის გადათეთრებით, ჩანაწერების გაკეთებით და სხვა. ამ სტრატეგიების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და წარმატებულ შედეგზე გასვლა.

ქვემოთ გთავაზობთ, ჩემი გამოცდილებიდან, უცხო ენაში მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელ რამდენიმე სტრატეგიას:

პრაქტიკული მეთოდებით სასაწავლო პროცესების გამდიდრება - იმისათვის რომ საგაკვეთილო პროცესი მრავალფეროვანი და სახალისო იყოს სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენება აუცილებელია.

მოსწავლეთა გააქტიურება საგაკვეთლო პროცესში - გაკვეთილზე მოსწავლეები არა პასიური, არამედ აქტიური მონაწილეები უნდა იყვნენ. იმისათვის რომ ბავშვები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები შეგვიძლია: ჯგუფური და წყვილებში მუშაობის მეთოდის გამოყენება, პრეზენტაციები, როლური თამაშები და ა.შ. თუმცა, ეფექტური შედეგისათვის საჭიროა ჩამოთვლილი სტრატეგიებისათვის დროის შერჩევა.

ცოდნის შეფასების ინსტრუმენტის მომზადებაში მოსწავლეთა ჩართვა - ამ აქტივობის ფარგლებში მოსწავლეები აქტიურად უნდა ჩავრთოთ შემაჯამებელ ტესტებში, ქვიზებში, მოვამზადებინოთ სხვადასხვა სიტუაციური ამოცანები და სხვა. გარდა იმისა რომ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას შევუწყობთ ამით ხელს, ამასთანავე მათ მასალის ათვისებაში დავეხმარებით.

სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება - ეფეტურია, როცა სხვადასხვა სირთულის დავალებებს ვთავაზობთ მოსწავლეებს ერთსა და იმავე თემაზე. ეს

მეთოდი საშუალებას მოგვცემს გავიგოთ და გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამასთანავე ავამაღლოთ მათი მოტივაცია.

უშნო აქტივობების გამოყენება - ეს მეთოდი საუკეთესოს საშუალებაა ყურადღების შედეგიდან პირდაპირ პროცესზე გადასართავად.

შეცდომები, როგორც სწავლის საუკეთესო საშუალება - მოსწავლეებს უნდა ვაცოდინოთ, რომ საგაკვეთილო პროცესებში შეიძლება დაუშვან შეცდომები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მათ კრიტიკის და შეცდომების შიში უნდა ჰქონდეთ; ანუ უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს მათზე. შეცდომები უნდა იყოს მათი დადებითი შედეგის სწრაფვის დასაწყისი.

არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ნიშნის დაწერით - აუცილებელია, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეს უნდა ვუთხრათ რატომ დავუწერეთ დაბალი ან მაღალი ნიშანი, რაში დავაკელით ან მოვუმატეთ და ა.შ. მასწავლებლის კომენტარი მოსწავლეს საშუალებას აძლევს შემდგომ გაამახვილოს ყურადღება სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

მოსწავლეტა საჯაროდ გაკრიტიკება - სხვების თანდასწრებით ბავშვის გაკრიტიკება უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მის მოტივაციაზე, ასევე მის თვითშეფასებაზე. ამასთანავე, მასწავლისადმი მოსწავლის ნდობაც და პატივისცემაც ქვეითდება.

მასწავლებელი უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი - ხშირ შემთვევაში მასწავლებლებს გარკვეული მოსწავლეების მიმართ უჩნდებათ შინაგანი სიმპატიები ან ანტიპათიები. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებთან ჩვენი სუბიექტური დამოკიდებულებები და შეხედულებები არ გამოვამჟღავნოთ და არ ვაგრძნობინოთ.

მოსწავლეთა დავალებებსა და ნაშრომებს სათანადო ყურადღების დათმობა - ბავშვების ნაშრომებს უნდა მივუდგეთ ყურადღებით და დავუთმოთ სათანადო დრო. გულგრილი და უყურადღებო დამოკიდებულება მათი ნაშრომისადმი სწავლის მოტივაციას თანდათანობით უქვეითებს.

ჩემი, როგორც მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს ნათლად იკვეთება ჩემი მათ მიმართ იმგვარი დამოკიდებულება, როდესაც მჯერა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა და ყველას შეუძლია იყოს წარმატებული - ანუ მე მჯერა

მათი და მათი შესაძლებლობების. („სწავლის მოტივაცია - თეორია და სტრატეგიები“, მარიკა სიხარულიძე 01.04.2013)

2.2 სამოტივაციო-სასწავლო თამაშების აღმზრდელობითი ფუნქცია.

თამაშების როლს მოსწავლეთა წარმატებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ განათლების და ფსიქოლოგიის წამყვანი მკვლევარები. თამაშების დროს ბავშვები არამარტო ერთობიან არამედ, მათი ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტივობას წარმოადგენს. თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ სხვების მოსმენას,აცნობიერებენ საკუთარ სოციალურ როლსა და პასუხისმგებლობას, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას, დამოუკიდებლობას და სხვ. თამაშების შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს. ფროიდი აღნიშნავს: „ თამაში საშუალებას აძლევს ბავშვებს გამოხატონ თავიანთი გრძნობები და აზრები უფრო კომფორტულად, თავიდან აიცილონ ზეწოლა და სამყაროს აკრძალვები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.'' ჟან პიაჟეს მიაჩნდა: „ თამაშის დროს ბავშვი აშენებს ლექსიკას, სწავლობს კონცენტრაციას, მოქნილობას და თანაგრძნობას''. არისტოტელე კი ამბობდა: „თამაში არის სულიერი წონასწორობის, ჰარმონიის წყარო და დიდი მნიშვნელობა აქვს მას მოზარდის ინტელექტის განვითარებაში''. არსებობს მოსაზრება, რომ თამაში არ არის ეფექტური სასწავლო პროცესში, რაც არასწორია, რადგან მას აქვს დიდი ღირებულება და პოტენციალი; თუმცა, თამაშებით სწავლება გარკვეული ინსტრუქციის დაცვით უნდა განხორციელდეს. ბავშვებს ნაყოფიერი სწავლის საფუძველს უქმნის და ახალი უნარების განვითარებაში ეხმარება ის ფაქტორი, რომ ისინი შინაგანად მოტივირებული არიან სათამაშოდ. გარდა იმისა რომ ის სასწავლო პროცესს სახალისოს და საინტერესოს ხდის, ამასთანავე ის ამაღლებს მოსწავლის შინაგან მოტივაციას. თამაში დროს ბავშვები გონებრივად იზრდებიან, რაც ეხმარება მათ გამოავლინონ მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამის ნათელი მაგალითია ალბერტ აინშტაინი, ვისზეც თამაშმა დიდი გავლენა მოახდინა. დაახლოებით ხუთი წლის იქნებოდა როცა ავადმყოფი საწოლში იწვა და მამამ მას მაგნიტური კომპასი მიუტანა სათამაშოდ. მას ამ კომპასის თამაშისას უკვირდა, როგორ იხრებოდა ისარი შესაბამის მხარეს. როგორც შემდგომ აინშტაინი თავად იხსენებს, სწორედ ამ სათამაშოს თამაშმა შეუწყო ხელი მეცნიერების სიყვარულში. როგორც აღვნიშნეთ თამაში

მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებისათვის და მისი გამოყენება არამარტო სახლსა და ეზოში, არამედ სკოლაშიც უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. „აქტივობებით სწავლება სახალისოა, რადგანაც გართობის ელემენტი ხელს უწყობს კომუნიკაციის სურვილის გაღვიძებას და არაპროგნოზირებადი გარემოს შექმნას“ (ჰალიველი 1992: 2).

სწავლასთან ერთად სასწავლო თამაშები სხვა ბევრ ფაქტორებსაც მოიცავს, როგორიცაა წესები,კონკურენცია და დასვენება. სწავლა და გართობა თამაშების მთავარი მიზანია. ბავშვებს ყველაზე მეტად კონკურენციას უღვივებს შეჯიბრების ტიპის თამაშები. იმდენად დიდია მათში მოწინააღმდეგის დამარცხების სურვილი რომ, ძალდაუტანებლად იწყებენ შეთავაზებულ აქტივობებში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ, სასწავლო თამაშები იმ სახის აქტივობაა, რომელშიც მოსწავლეები ყოველთვის მიიღებენ მონაწილეობას რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენება ყოველთვის სასარგებლოა სასწავლო პროცესში. მასწავლებელს შეუძლია მათი გამოყენებით ბავშვებს გააცნოს ახალი სასწავლო თემა, გრამატიკა, რთული და უცნობი ლექსიკური ერთეულები და ა.შ გარდა ამისა, სახალისო აქტივობების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია ყველაზე მოსაწყენი გაკვეთილიც კი საინტერესო და სახალისო პროცესად აქციოს. თავად თამაში ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ექსპერიმენტის ჩატარება. ამავე დროს, ბავშვები არა პასიური, არამედ აქტიური მონაწილეები არიან, ანუ აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, უზიარებენ ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას, მიღებული ახალი გამოცდილებით კი იძენენ ახალ ცოდნას. ბავშვებში ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სიმულაციური და მულტიმედიური თამაშები, რომელთა გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ცნობილია, თითოეული თამაში გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მაგალითად: ფიზიკური თამაშები ფიზიკურთან ერთად ხელს უწყობს ასევე, გონებრივ განვითარებას.გონების კარგი მუშაობისათვის საჭიროა როგორც კარგად ნამუშევარი ტვინი, ასევე კარგად ნამუშევარი სხეულიც. კვლევებმა აჩვენა რომ, ბავშვები რომლებიც აქტიურად იყვნენ დაკავებული სპორტით, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ როგორც კერძოდ, სწავლაში, ასევე ზოგადად, ვიდრე მათ ვინც ნაკლებად აქტიურები იყვნენ ან არ მისდევდნენ სპორტს.

აინშტაინი კი ამბობდა „ არასდროს ვასწავლი მოსწავლეებს. მე მხოლოდ ვცდილობ შევუქმნა მათ გარემო, სადაც სწავლას შეძლებენ“. ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განსავითარებლად უმნიშვნელოვანესია გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას, რომელშიც ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ იპოვონ თვითგამოხატვის გზები.

მასწავლებლის მხრიდან წესების მკაფიოდ განმარტება, და ხშირ შემთხვევაში დემონსტრირებაც კი ძალიან მნიშვნელოვანია, რათა თამაშმა შეასრულოს თავისი საგანმანათლებლო ფუნქცია. თუ ისინი სწორად ვერ გაიგებენ თამაშის წესებს ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოცემულმა აქტივობამ არ მისცეს მათ სარგებელი, ის რისი მიზანიც ჩვენ გვინდა რომ მივაღწიოთ. მაგალითად, თუ მოსწავლემ ვერ გაიგო სწორად თამაში წესები როგორიცაა, „ თამაში კარნახი“ (Dictation game) და ეს თამაში წესების დაცვის გარეშე შეასრულა, ის მას მხოლოდ რვეულში გადაიწერს, რაც გავლენას არ მოახდენს იმ მისაღწევ მიზნებზე რომელიც ჩვენ გქონდა და ითვალისწინებდა მოსმენის და მართლწერის უნარ-ჩვევების განვითარებას. სასწავლო თამაშების შერჩევის დროს მასწავლებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს სასწავლო მიზნები და სტრატეგიები, უზრუნველყოს რომ პროცესში ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, აქტივობა უნდა იყოს მარტივად შესასრულებელი და სახალისო. თამაში აძლიერებს, აღვივებს მოსწავლეში იმ შესასწავლი გაკვეთილისადმი ინტერესს, რომლისთვისაც ის მისაღწევი მიზნის ერთ-ერთ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. მასწავლებელმა აქტივობის შერჩევის დროს სხვადასხვა გარემოება უნდა გაითვალისწინოს მაგალითად, თამაშის დონე შეესაბამებოდეს მოსწავლის ენის ფლობის დონეს, შერჩეული თამაში უნდა შეესაბამებოდეს მოცემული კლასის მიზნებსა და შინაარსს, უნდა გაითვალისწინოს მათი ასაკობრივი დონე, ათვისებისა და ყურადღების გამახვილების უნარი, ასევე მნიშვნელოვანია აქტივობის გამოყენების დროის გათვალისწინება და სხვ. რთულია ისეთი თამაშების პოვნა რომელიც მასწავლებლის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ფაქტორია, რომ უნდა გამოვიყენოთ ისეთი თამაში რომელსაც ექნება საგანმანათლებლო და გასართობი მნიშვნელობა, სხვა შემთხვევაში ის არაეფექტური იქნება. მოსწავლის გონებრივ, ლინგვისტურ, სოციალურ, ფიზიკურ, ემოციური უნარების განვითარებას და სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობს

სწორედაც რომ სწორად შერჩეული და დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, რაც თავის მხრივ, ამაღლებს ბავშვებში სწავლისადმი მოტივაციას.

რაც უფრო დადებითი ემოციით არიან განწყობილი მოსწავლეები დიდაქტიკური თამაშებისადმი, მით უფრო სრულად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში. თამაშის გამოყენების მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ამ დროს გაცილებით მეტია გაგება- დამახსოვრების ხარისხიც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც თამაშებს ხშირად იყენებენ უცხო ენის გაკვეთილზე, ის არის, რომ ამ დროს მაქსიმალურად ხდება სტრესის შემცირება საგაკვეთილო პროცესში. ენის შესწავლის დროს მოსწავლეებს საკმაოდ დიდი სტრესი ექმნებათ. სტრესის მიზეზი კი ის არის, რომ ამ დროს ბავშვები სწავლობენ უცნობ გრამატიკულ სტრუქტურებს, სიტყვებს, ტექსტებს და ა.შ. კომფორტულ და ნაკლებად მშფოთვარე გარემოს შექმნა კი სწორედაც რომ თამაშებით არის შესაძლებელი. თამაშის დროს არ ნერვიულობენ შეცდომებზე, გამართულად და ეფექტურად ურთიერთობენ და რაც მთავარია გაუცნობირებლად ისე, რომ ვერც კი ხვდებიან მიმდინარეობს სწავლის პროცესი. სტრესის დაძლევა მათ საშუალებას აძლევს იფიქრონ სამიზნე ენაზე, იყენებენ მას სპონტანურად და ბუნებრივად საგაკვეთილო პროცესში. „თუ ბავშვი ვერ სწავლობს იმ გზით, რომელსაც ვთავაზობთ, ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათთვის სასურველი სწავლების გზა“ ამბობდა არისტოტელე. თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით მასწავლებელმა უნდა მოახერხოს, რომ მოსწავლემ შეძლოს მეტის სწავლა, მასწავლებლის მინიმალური ჩართულობით, ამრიგად სკოლაც მოსაწყენად აღარ მოეჩვენება. როცა ჩვენ ვსაუბრობთ ტრადიციულ საკლასო ოთახზე, ჩვენ ვგულისხმობთ რომ აქ მთავარი, წამყვანი ფუნქცია მასწავლებელს აკისრია. მასწავლებელი წინსაწარ შემუშავებულ და მომზადებულ მზა მასალას აწვდის ბავშვებს, მოსწავლეები კი მხოლოდ ზეპირ და წერილობით დავალებებს ასრულებენ. ისინი ყოველგვარი გარემოსთან კავშირის გარეშე იზეპირებენ წესებს. მაგალითად, მასწავლებელი აძლევს მითითებას „იპოვეთ ვინმე ვინც ტელევიზორს უყურებს, ვინც ცეკვავს ან საჭმელს ამზადებს და ა.შ.“ თუმცა, იგივე ინფორმაცია სახალისო თამაშებისა და აქტივობების გამოყენებით შეიძლება უფრო მარტივად მივაწოდოთ ბავშვებს. მაგალითად, მოსწავლეები თავად შექმნიან კითხვარს, რომლის გამოყენებითაც იპოვიან შესაბამის ადამიანს. კითხვები შეიძლება იყოს: გიყვარს ცეკვა? შეგიძლია საჭმლის მომზადება? გიყვარს ტელევიზორის ყურება?

და ა.შ. მოსწავლეები მოძრაობენ მთელ კლასში და კითხვებს უსვამენ ერთმანეთს. გამარჯვებულია ის, ვინც პირველი შეავსებს თავის გვერდს. ამ თამაშის დრო მოსწავლეები ვარჯიშობენ როგორც კითხვის დასმაზე, ასევე პასუხის გაცემაზეც. სასურველი ადამიანის პოვნამდე მათ შეიძლება კითხვის გამეორება რამდენჯერმე მოუწიოთ, ამ აქტივობის საშუალებით კი გაკვეთილი უფრო კომუნიკაბელური და შინაარსიანია. ამასთანავე, ეს და ამის მსგავსი აქტივობები მოსწავლეებს აკავშირებს რეალურ სამყაროსთან, რადგან აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება შეუძლიათ გამოიყენონ კლასის გარეთაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგაკვეთილო პროცესში თამაშების გამოყენება ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ სიკეთეებთან ერთად, ბავშვებს შანსს აძლევს უცხო ენა გამოიყენონ არამარტო კლასში, არამედ მის გარეთაც, რეალურ საკომუნიკაციო სიტუციაში. აღნიშნულ თემაზე დ. უზნაძე განიხილავს ბავშვის თამაშისა და სწავლის ფსიქოლოგიურ ბუნებას და ფუნქციას. უზნაძის აზრით „ ყველა ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას მოძრაობა, აქტიურობა შეადგენს. არ არის აუცილებელი, რომ ცოცხალი ორგანიზმის ასამოქმედებლად, მასზე რაიმე გამაღიზიანებელი ზემოქმედებდეს. ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი თავისებურებაა მასში არსებული ძალების მოქმედება, აქტივობა. ამ თავისებურებას 14 ფუნქციონალური ტენდენცია ჰქვია. თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალებისა და შესაძლებლობების განვითარება, რომელიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის განხორციელების საფუძველი ხდება“.

სასკოლო პერიოდში, ბავშვის ცხოვრების მთავარ ადგილს სწავლა იკავებს, თუმცა არანაკლები დრო ეთმობა თამაშს, განსაკუთრებით ფიზიკურ თამაშებს. გარდა ამისა, სასკოლო ასაკში ბავშვის თამაში უფრო სპეციფიკური ხდება. ის არა მარტო, არამედ პარტნიორთან ერთად თამაშობს, ასევე მის თამაშს უკვე გარკვეული მიზანი აქვს. ბავშვი ამ დროს საკუთარ ძალებს გამოცდის თანატოლებთან შეჯიბრებით, ამ ყველაფერს კი აკეთებს გარკვეული წესების და პირობების დაცვით. ანუ, როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნეთ, თამაშს წამყვანი როლი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. ამ საშუალებით ბავშვები სხვებთან ერთად ან დამოუკიდებლად შეისწავლიან გარემოს, ადამიანებს, და იმ სამყაროს რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მთელი მისი საიდუმლოება კი იმაში მდგომარეობს რომ თამაში ერთდროულად ასრულებს გართობის, დასვენების, სწავლის, შემოქმედებითი უნარების განვითარების, თერაპიის ფუნქციას, მას აქვს

უნარი გადაიზარდოს ყოველგვარ შრომაში, ადამიანურ მიმართებათა და გამოვლინებათა მრავალნაირი ტიპის მოდელში. თამაშებით ბავშვები გამოავლენენ ინდივიდუალურ თავისებურებებს თანატოლებთან მუშაობის დროს. აღსანიშნავია, რომ ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას სწორედაც რომ, ეფექტურად წარმართული თამაშები განაპირობებს. („სასწავლო თამაშების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში დაწყებითი განათლების საფეხურზე“, ზეინაბ წულუკიძე, 2021წ გვ 8-14).

<u>მეორე თავის დასკვნა:</u> სასწავლო პროცესში მოსწავლეთა წარმატების უმთავრეს ფაქტორს სწავლის მოტივაცია წარმოადგენს, ხოლო თუ რამდენად მაღალია მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხი, ეს დამოკიდებულია მეტწილად მასწავლებელზე. მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლისადმი დიდ როლს ასრულებს მათი მოტივაციის ამაღლების პროცესში.

გარდა მასწავლებლის როლისა, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების და აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო თამაშებს. თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, აცნობიერებენ საკუთარ სოციალურ როლს და პასუხისმგებლობას, საკუტარი აზრის ჩამოყალიბებას, დამოუკიდებლობას და სხვ. სწორედ ამიტომ, ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებას და განვითარებას ეფექტურად წარმართული თამაშები განაპირობებს.

თავი III. სხვადასხვა უნარების განმავითარებელი მეთოდები უცხო ენის სწავლებისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის (2011 – 2021) მიხედვით გამოყოფენ მთელ რიგ პრიორიტეტებს, რაც გამომდინარეობს ზოგადი ეროვნული მიზნებისა დ საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან. უცხო ენის სწავლა გულისხმობს ოთხი ძირითადი კომპონენტის მიხედვით სწავლებას, ესენია: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. უცხო ენის, განსაკუთრებით ინგლისური ენის, სრულყოფილად შესწავლა რომ განხორციელდეს საჭიროა ამ ოთხივე კომპონენტის სრულად დაუფლება, ეს ყველაფერი კი აქტივობების შესაბამისად დაგეგმვითა და განხორციელებით უნდა მოხდეს.

იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს საზოგადოებაში დამკვიდრება და თვითრეალიზაცია გარკვეული კომპონენტების ფლობა აუცილებელია. ამიტომაც, მოცემულ თავში სხვადასხვა უნარების განმავითარებელ მეთოდებზე ვისაუბრებთ.

3.1 კითხვის უნარების განმავითარებელი მეთოდები.

კითხვის სწავლებისას მისაღწევი მიზნები და ამოცანები ყველა საფეხურზე განსხვავებულია. დაწყებითი საფეხურის მიზანია მოსწავლეს ჩამოუყალიბოს კითხვის უნარი, ამასთანავე მოსწავლემ უნდა შეძლოს, რომ ტექსტი წაიკითხოს გააზრებულად, აქტიურად გამოიყენოს და ამასთანავე გაამდიდროს ლექსიკა, უნდა შეძლოს აზრის, ზეპირად იქნება ეს თუ წერილობით , სწორად ჩამოყალიბება.

იმისათვის, რომ კითხვის უნარების ჩამოყალიბებაას და განვითარებას შევუწყოთ ხელი, საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე ძირითადი კომპონენტები, ესენია: ზეპირი მეტყველება, როგორც წიგნის ასევე ტექსტის მახასიათებლის ცოდნა, ანბანის ცოდნა, სიტყვების ცოდნა, სიტყვათა მთლიანობის ამოცნობა, სწორად კითხვა (სწორი ინტონაციის, გამოთქმით, უშეცდომოდ და ა.შ). კითხვის სწავლების პროცესში მოსწავლეები სწორედ ამ მოცემულ კომპონენტებში ვარჯიშობენ და იყენებენ მათ. ხოლო, ამ კომპეტენციების წარმოშობასა და განვითარებას თავისი ეტაპები გააჩნია.

„სწავლების პირველ ეტაპზე ტექსტსებს უხვად უნდა აახლდეს თვალსაჩინო მასალები (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და ა.შ), რომელზე დაყრდნობითაც მოსწავლეს გაუადვილდება ტექსტის გაგება. ამ ეტაპზე მოსწავლეებს არც ტექსტის ამომწურავად გაგება მოეთხოვებათ (საკმარისია საკომუნიკაციო სიტუაციის, ზოგადი ინფორმაციისა და ცალკეული გამოთქმების გაგება) და არც გამოთქმების დესტრუქტურიზაცია და ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზება“ (ესგ, 2016: 459).

ახლა კი განვიხილავ რამდენიმე მეთოდს რომელსაც მე ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში კითხვის უნარების განსავითარებლად. მაგალითისათვის განვიხილოთ სახელმძღვანელო New Building Blocks-3” – ის მე-11 გვერდზე მოცემული დიალოგი. საწყისი ეტაპისათვის ბავშვებს მოეთხოვებათ ასო-ბგერების ამოცნობა და სიტყვების წაკითხვა. იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ ამ დიალოგის სწორად წაკითხვა ბარათებით, რომელიც არის დასურათებული, ვაჩვენებ ახალ სიტყვებს და რამდენჯერმე გავამეორებინებ ჩემთან ერთად. ჩემი დახმარებით სიტყვების რამდენჯერმე განმეორება ეხმარება მათ რომ სიტყვები სწორად წარმოთქვან და წაიკითხონ. ამის შემდეგ ვთხოვ ბავშვებს რომ ის სიტყვები რომელიც მე ვასწავლე ბარათების საშუალებით მომიძებნონ ტექსტში რომლის ახსნასაც ვაპირებ, ეს საშუალებას მისცემს მათ თვალი გადაავლონ ტექსტს. შემდეგ მოვასმენინებ ტექსტის აუდიოჩანაწერს და თან ვთხოვ, რომ თითი მიაყოლონ დიალოგს. იქ სადაც შედარებით რთული და გრძელი წინადადებებია ვაჩერებ და რამდენჯერმე ვამეორებინებ ბავშვებს იმ მონაკვეთს. მოსასმენის კარგად მოსმენის და გაგების შემდეგ ვანაწილებ წყვილებად ან ჯგუფებად და ამასთანავე ვუნაწილებ როლებს, შემდეგ კი ვთხოვ დამოუკიდებლად წაიკითხონ ისე, როგორც დიალოგი იკითხება (ანუ როლებში). ბოლოს კი ვაძლევ საშინაო დავალებად ამ ტექსტს კარგი კითხვით და თარგმნით. ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ ბავშვებს აღარ უძნელდებათ სახლში როგორც სიტყვების სწავლა, ასევე ტექსტის სწორად წაკითხვა. ზემოთ განხილული მეთოდი სწავლების ყველა საფეხურზე შეიძლება გამოვიყენოთ თუმცა მოსწავლეთა შესაძლებლობის მიხედვით გავამარტივოთ ან გავართულოთ ის. საბაზო და საშუალო საფეხურზე შესაძლებელია და მე აქტიურად ვიყენებ კითხვის განმავითარებელ ისეთ მეთოდებს როგორიცაა: T

დიაგრამა, ჭეშმარიტია/მცდარია, სიტყვების დაწყვილება / დაკავშირება, ვენის დიაგრამა, პაუზებით კითხვა, ტექსტის კითხვა ნიშანთა სისტემით, გონებრივი იერიში, ასოციაციური რუკა და სხვა (თითოეულ მათგანს დაწვრილებით პრაქტიკულ ნაწილში განვიხილავ და ავღწერ).

გარდა ამ მეთოდებისა, კითხვის უნარების განმავითარებელი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. ბავშვებს უყვართ საინტერესო მხატვრული მოთხრობების კითხვა, ან კიდევ ვინმე თუ უკითხავთ მათ. ეს ყველაფერი კი მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს სხვადასხვა საინტერესო აქტივობების და მეთოდების გამოყენებით. კითხვის საშუალებით შესაძლებელია მოსწავლემ უკეთ აითვისოს ლექსიკა, გრამატიკული სტრუქტურა, ამასთანავე განავითაროს ისეთი შემეცნებითი უნარები როგორიცაა: ვარაუდი, ახალი სიტყვების გამოცნობა, მეხსიერების გავარჯიშება და სხვ. მოთხრობები კი შერჩეული უნდა იყოს ისე, რომ მან ხელი შეუწყოს ბავშვებისათვის ნაცნობი ენობრივი ერთეულების განმტკიცებას და რაც მთავარია, ეს სტარტეგია ასევე სწავლების ყველა საფეხურზე გამართლებული და შედეგიანია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ კითხვა ენის სწავლა/სწავლების პროცესში მუდმივი ასპექტია და შესაბამისად, კითხვის უნარების განვითარებასა და განმტკიცებას სწავლების ყველა ეტაპზე უნდა შევუწყოთ ხელი.

3.2 წერის უნარების განმავითარებელი მეთოდები.

„წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობის გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროისა და გაწაფვის შემდეგ ის ხდება ავტომატური პროცესი. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისაგან გარჩევა (წვდომა, თუ რა ცალკეული

ბგერებისა და ასოებისაგან შედგება მოცემული სიტყვა) ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში, გახსენება ასოს სწორი მოყვანილობისა, და ბოლოს, უნდა ჰქონდეს შესაბამისად განვითარებული ნატიფმოტორული უნარი ასოს შესაბამისად გამოსაყვანად“ (პაჭკორია, 2011 : 56).

წერის უნარის განსავითარებლად საჭიროა თანმიმდევრობის სწორად დაცვა. საწყის ეტაპზე როცა მოსწავლ იწყებს ენის სწავლას პირველ რიგში თითოეული ასოს შესწავლისას ვასწავლი ამ ასოს გრაფიკულ მოხაზულობას ამისათვის კი ვიყენებს სპეციალურ ნიმუშის რვეულს სადაც წერტილების საშუალებით ბავშვს მიანიშნებს საიდან უნდა დაიწყოს ასოს მოხაზვა და როგორ უნდა დაწეროს ესა თუ ის ასო. გარდა იმისა რომ სხვადასხვა თვალსაჩინოების საშუალებით ვცდილობ კარგად დავამახსოვრო თითოეული ასო, ასევე ვცდილობ კარგად ვასწავლო ამ ასოს სწორად და ლამაზად გრაფიკული გამოყვანა რვეულში.

აღსანიშნავია რომ წერის უნარების განვითარება მხოლოდ ცალკეული ასოების გამოწერით არ არის შესაძლებელი. გარდა ამისა საჭიროა ასოებისგან სიტყვების, სიტყვებისაგან კი წინადადების შედგენის სწავლება. გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისურში სიტყვა სხვანაირად იკითხება და სხვანაირად იწერება, ერთ-ერთი მეთოდი რომელსაც ასევე აქტიურად მივმართავ დაწყებით და საბაზო საფეხურზე ეს არის ცალკეული სიტყვების გამოწერა მრავალჯერ. ამ მეთოდით ამახსოვრდებათ ბავშვებს სიტყვაში შემავალი ცალკეული ბგერები, რაც საშუალებას აძლევს სწორად წერის განვითარებას შეუწყოს ხელი. კიდევ ერთი მეთოდი რომელსაც ყველა ეტაპზე წერის უნარების განვითარებისათვის ვიყენებ ეს არის „კარნახით წერა“. კარნახის მეთოდს ორნაირად ვიყენებ. პირველი ეს არის ცალკეული სიტყვების წერა და მეორე ეს არის წინადადებების შედგენა. **პირველ** შემთვევაში როცა გარკვეულ საგაკვეთილო თემებს გავივლით და იქედან ლექსიკური მარაგი დაგვიგროვდება, შემდეგ მოსწავლეებს ვაფრთხილებ რომ ექნებათ კარნახი და გაიმეორონ ამ დროის განმავლობაში შესწავლილი სიტყვები კარგად როგორც წერით, ასევე ზეპირად. შემდეგ გაკვეთილზე ვიღებ ლექსიკონს და მე თვითონ ვკითხულობ ამ სიტყვებს, მათ კი ვთხოვ ფურცელზე სწორად დაწერონ ჩემს მიერ ამოკითხული სიტყვები. პირველ ეტაპზე ინგლისურად ვკითხულობ და ისინი წერენ ასევე ინგლისურად, ოღონდ სწორად ორთოგრაფიული წესების დაცვით, ხოლო შემდეგ ეტაპზე სიტყვის ქართულ

მნიშვნელობას ვამბობ და მათ უნდა გაიხსენონ ის თუ როგორ იკითხება და სწორად გამოთქვან ეს სიტყვა, ასევე სწორად უნდა ჩაწერონ რვეულში ინგლისურად. **რაც შეეხება მეორე** მეთოდს, განვლილი საგაკვეთილო ტექსტებიდან ვიღებს გარკვეულ წინადადებებს (ვცდილობ ავიღო ისეთი წინადადებები, სადაც ახლად შესწავლილი სიტყვებია მოცემული) და ვიწერ ერთ ფურცელზე. გაკვეთილზე მოსწავლეებს ვთხოვ აიღონ რვეული და კალამი, შემდეგ კი მე ვუკითხავ ამ წინადადებებს ნელა (მოსწავლეთა შესაძლებლობის მიხედვით შეიძლება საწყის ეტაპზე წინადადებები ორჯერაც გავიმეორო), მათ კი ჩემს მიერ წაკითული წინადადებები სწორად უნდა ჩაიწერონ რვეულში. ამ მეთოდს სწავლების ყველა საფეხურზე ვიყენებ, თუმცა ყველა საფეხურისათვის შესაბამისი სირთულით. მაგალითად, მაღალ კლასებში ვარჩევ უფრო რთულ და დიდ ტექსტებს, ამასთანავე ვკითხულობ შედარებით სწრაფად, განმეორების და პაუზების გარეშე. ამ მეთოდით, გარდა სიტყვების სწორად წერისა, ასევე სწავლობენ მოცემული სიტყვებით წინადადების შედგენასაც.

წერის უნარის განსავითარებლად ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი რომელსაც მე ხშირად ვიყენებ ეს არის - „scrambled letters/ words- არეული ასოები/სიტყვები“. დაწყებით ეტაპზე ვიყენებ „ scrambled letters - არეული ასოები“. ამ მეთოდის ფარგლებში წინასწარ ვამზადებ ბარათებს სადაც უკვე ნასწავლი სიტყვები წერია არეულად (ანუ ასოები არის არეული). ეს შეიძლება გავაკეთოთ როგორც ჯგუფურად ან წყვილებში, ასევე ინდივიდუალურადაც. ვაძლევ ამ ბარათებს, ვუნიშნავ დროს, და მათ რაც შეიძლება მალე უნდა შეადგინოს სწორად სიტყვები. გამარჯვებულია ის ვინც ყველაზე მოკლე დროში ყველაზე მეტ სიტყვას ააწყობს სწორად. მაღალ საფეხურებზე კი ძირითადად ვაკეთებ „scrambled words - არეული სიტყვები“, ამ შემთხვევაში არა ასოები, არამედ არეული სიტყვებია ბარათებზე მოცემული და ბავშვებმა უნდა შეადგინონ წინადადება სწორად, ისე რომ გრამატიკულად სწორი სტრუქტურა იყოს დაცული წინადადებაში. ამ შემთხვევაშიც გამარჯვებულია ის ვინც ყველაზე მეტ წინადადებას ყველაზე მალე შეადგენს სწორად. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო პროცესი, უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესი უნდა დავტვირთოთ მრავალფეროვანი სტრატეგიებით და მეთოდებით. გარდა იმის რომ სასწავლო პროცესი საინტერესოა, ამასთანავე ის ზრდის ბავშვების ჩართულობას სასწავლო პროცესში, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ერთიან

პროცესზე და გვეხმარება სასურველი მიზნის მიღწევაში. ყველა მეთოდი, რომელიც მიზნის მიღწევაში გვეხმარება, კარგია და სასარგებლო.

3.3 მოსმენის უნარების განმავითარებელი მეთოდები (აუდიო მასალის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში).

„ სწავლების პირველ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხო ენის ათვისების მთავარ საშუალებას, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა. სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, რადგან უცხო ენისათვის დამახსიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსიან კონტექსტში მოხდება“ აღნიშნულია ესგ-ში (ესგ 2016 : 459).

სხვადასხვა მოსასმენი მასალები და აქტივობები საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს გავუმარტივოთ ტექსტების, დიალოგების, ლექსების და სხვა შესასწავლი თემის სწავლა და ათვისება. ამ მხრივ თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოები საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია სხვადასხვა აუდიო მასალებით. დაწყებით ეტაპზე პირველი კლასის სახელმძღვანელო ძირითადად დატვირთულია სახალისო სიმღერებით და დიალოგებით, რისი გამოყენებაც მოსწავლეებს სახალისო და საინტერესო სასწავლო გარემოს უქმნის. შემდგომ კლასებში მოსასმენების რაოდენობაც იზრდება და ამასთანავე რთულდება მოსწავლეთა ასაკის და შესაძლებლობების მიხედვით. საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოები შედარებით რთული და ამასთანავე ბევრი მოსასმენი მასალით არის დატვირთული. ქვემოთ კი განვიხილავ კონკრეტულად როგორ ვიყენებ მე აუდიო მასალას საგაკვეთილო პროცესში და როგორ ეხმარება მოსასმენი მასალები ბავშვებს მოსმენის უნარების განვითარებაში.

თვალსაჩინოების მრავალრიცხოვან სახეთა შორის აღსანიშნავია სურათების, კინოფილმების, აუდიო მასალების და სხვათა გამოყენება. ეს ბავშვებს უმსუბუქებს

სასწავლო მასალის შეგნებულად ათვისებას, აჩვევს მათ სწრაფ კითხვას, უვითარებს ზეპირმეტყველებას, სწორ გამოთქმას და ხელს უწყობს კავშირის დამყარებას სიტყვის შინაარსსა და მის ფორმას შორის.

ამ მხრივ კარგ შედეგს გვაძლევს, კერძოდ გაკვეთილზე აუდიო მასალის გამოყენება. აუდიო მასალის გამოყენებას შეუძლია გაკვეთილი უფრო ცოცხალი და საინტერესო გახადოს. მისი გამოყენება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. იგი განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ლექსიკური მასალის განმტკიცებასა და ზეპირმეტყველების განვითარების საქმეში.

აუდიო მასალის გამოყენების წინ საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ დაამუშაოს მოსასმენზე ჩაწერილი ტექსტი, რომლის საფუძველზეც მოწაფეები იმეორებენ ლექსიკურ მასალას, აკეთებენ ფონეტიკურ ანალიზს და კითხულობენ ტექსტს ინტონაციისა და მახვილის სწორი გამოყენების დაცვით.

ჩემს მიერ აუდიო მასალის გამოყენების მიზანი უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ ბავშვებისათვის საშუალება მიმეცა მოესმინათ ტექსტები, რომლებიც ჩაწერილია კარგი დიქციით, სუფთა რიტმით, სწორი გამოთქმითა და ინტონაციით.

იმ მიზნით, რომ ბავშვები დაუფლებოდნენ ფონეტიკური წესების დაცვით კითხვას, მომიხდა მთელი რიგი ვარჯიშების ჩატარება. აუდიო მასალის გამოყენების წინ მოწაფეებს წავუკითხე V კლასის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა “There’s No Place Like Home” რომელშიც შედიოდა გამოთქმის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო სიტყვები. ეს სიტყვები წინასწარ დავწერე დაფაზე და მოწაფეები გავაფრთხილე, რათა ყურადღება მიექციათ შემდეგი სიტყვებისათვის: difficult - რთული („u“ უნდა გამოთქვან როგორც „ა”), broom - ცოცხი (ორი „oo“ გამოითქმის როგორც „უ“), instruction - ინსტრუქცია („tion“ - იკითხება როგორც „შნ“) და ა.შ, რომლებსაც ისინი ფონეტიკურად სწორად ვერ გამოთქვამდნენ.

შემდეგ მომიხდა თითოეული მათგანის ცალკეულად დამუშავება; გავიხსენეთ, თუ როგორ იწერება და იკითხება ან გამოითქმება ეს სიტყვები. ამის შემდეგ გადავედი ჯგუფურ განმეორებაზე. თვალყურს ვადევნებდი, თუ რანაირ შეცდომებს უშვებდნენ ბავშვები და მათ კიდევ ერთხელ მოვასმენინე ტექსტი.

მომდევნო გაკვეთილზე თავიდან გავიმეორეთ, თუ როგორ იწერება და გამოითქმება წინა გაკვეთილზე გაცნობილი სიტყვები, შემდეგ კი კიდევ ერთხელ მოვასმენინე აუდიოზე ჩაწერილი იგივე ტექსტი და გავაფრთხილე, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ტექსტში მოცემული სიტყვების წარმოთქმისათვის. ამან ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ბავშვები უკვე განასხვავებდნენ u და oo კითხვის წესებს და სწორად გამოთქვამდნენ ამ სიტყვებს.

აუდიო მოსასმენი დიდად დაეხმარა ბავშვებს სწორად წარმოეთქვათ მოცემული სიტყვები და დაუფლებოდნენ მახვილის სწორად დასმის უნარს. აუდიო მასალის გამოყენებამ ასეთი შეცდომების აღმოფხვრაშიც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა და იგი ხშირად უნდა მოვიშველიოთ უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის გაკვეთილზე.

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მოწაფეთა შეცდომები რთული სიტყვების წაკითხვაში, ასე მაგალითად, მოწაფემ მახვილის სწორად დასმით ვერ წაიკითხა სიტყვა Hedgehog. მაშინ მოსწავლეებს გავამეორებინე რთულ სიტყვებში მახვილის დასმის წესი. შემდეგ ეს წესი შეცდომის დამშვებ მოსწავლესაც გავამეორებინე, ხოლო ის წინადადება, რომელშიც შედიოდა სიტყვა Hedgehog, აუდიო მასალის გამოყენებით ორჯერ გავამეორებინე.

შემდეგ გაკვეთილზე ის ბავშვები გამოვიძახე, რომლებსაც განსაკუთრებით უჭირდათ მახვილის სწორად დასმა და გამოთქმა რთულ სიტყვებში და მთელ კლასთან ერთად რამდენჯერმე გავამეორებინე, შემდეგ კი მოვასმენინე შესასწავლი სიტყვები. ასეთმა მუშაობამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა.

მოსწავლეები რომ გავარჯიშებულიყვნენ უცხო ენაზე წაკითხული მასალის შინაარსის გაგებაში, მე თვითონ შევადგინე მოკლე ტექსტი „Sweet Home" რომელიც აგებული იყო ნაცნობ ლექსიკურ მასალაზე. ასეთი ხასიათის მუშაობის ჩატარებამ განამტკიცა ლექსიკური მასალის ცოდნა და ტექსტის ადვილად გაგებასაც შეუწყო ხელი.

ახლა მინდა შევჩერდე ლექსიკის შესწავლის ხარისხზე აუდიო მასალის გამოყენებით. პირველ რიგში ვთარგმნეთ ტექსტში „Schoolchildren around the world" შემავალი ახალი სიტყვები (უცნობი სიტყვების ამოწერა მოსწავლეებს წინასწარ ჰქონდათ დავალებული. მათ შეეძლოთ უცნობი სიტყვები დამოუკიდებლადაც

ეთარგმნათ, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდნენ, მაშინ კლასში ჩემი დახმარებით თარგმნიდნენ). შემდეგ მოვასმენინე მოსწავლეებს აუდიოზე ჩაწერილი ტექსტი და გუნდურად რამდენჯერმე გავამეორებინე მთელ კლასს. ამ ხერხით ბავშვებმა შედარებით ადვილად დაძლიეს მასალა, რაც შემდეგ გაკვეთილზე ცხადად დადასტურდა: თითქმის ყველა მოსწავლემ მასალა შესანიშნავად იცოდა.

ჩემი მუშაობით დავრწმუნდი, რომ აუდიო მასალის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში მოსწავლებს ეხმარება ფონეტიკური წესების ცოდნის განმტკიცებაში, ლექსიკური და გრამატიკული მასალის დაძლევასა და სწორი კითვისა და ზეპირმეტყველების ჩვევათა გამომუშავებაში. (ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ 1960 წ, ც შველიძე „ მაგნიტოფონის ლენტი გერმანული ენის გაკვეთილზე“)

3.4 მეტყველების უნარების განმავითარებელი მეთოდები.

უცხო ენაზე მეტყველების უნარის განვითარებას, ენის შესწავლის დროს დიდი ადგილი უჭირავს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უცხო ენის სწავლა/სწავლების მისაღწევ შედეგებში შემდეგს ვკითხულობთ - „ მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითების გაგება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე სათანადოდ რეაგირებს მასწავლებლის მითითებებზე (ადექი,დაჯექი,მოდი დაფასთან, გადაშალე წიგნი და ა.შ)“ (ესგ, თბილისი, 2016 : 465)

„მოსწავლეს შეუძლია შინაარსის გასაგებად სათანადო სტრატეგიების გამოყენება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ვერბალურ თუ არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობით (ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, ილუსტრაცია)“ (ესგ, 2016 : 466)

გამომდინარე იქიდან, რომ ის კომუნიკაციის ძირითადი წყაროა, საუბრის უნარების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული ფაქტორია უცხო ენის სწავლების პროცესში. გარკვეულ სირთულებთანაა დაკავშირებული ამ უნარის განვითარება, რადგან იმისათვის რომ მოხდეს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, საჭიროა

გავითვალისწინოთ ასევე მოსწავლის სოციალური უნარები, მაგალითად, თვითშეფასება, მოტივაცია, თავდაჯერებულობა და ა.შ. გარდა ამისა ამ უნარის განვითარებას მრავალი სხვა ფაქტორიც უშლის ხელს, მაგ: შიში და სიმორცხვე, ამის გამომწვევი მიზეზი კი ხშირ შემთხვევაში არის ის, რომ ბავშვებს აქვთ შეცდომების დაშვების შიში, ან კიდევ სასაუბრო თემის ირგვლივ არ აქვთ სათანადო ლექსიკური მარაგი ან გრამატიკული ცოდნა.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარდა სახალისო და საინტერესო აქტივობების შერჩევისა, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური განვითარების დონე და შეუქმნას მათ ჯანსაღი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს იგრძნობენ კომფორტულად და არ ექნებათ შეცდომების დაშვების შიში.

თვითშეფასებისა და მოტივაციის ასამაღლებლად მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს ცნობილი ადამიანების საჯარო გამოსვლის ვიდეოები და ამით აუხსნას რომ, შეცდომა შეიძლება დაუშვას ყველამ და ამისგან არავინაა დაზღვეული. ეს მათ დაეხმარებათ სიმორცხვისა და შიშის დაძლევაში და გახდებიან უფრო თავდაჯერებულები. გარდა ამ ყველაფრისა, მასწავლებელმა არ უნდა ეცადოს ბავშვები მოაქციოს საკუთარი ზეგვალენის ქვეშ და შეასრულებინოს რაიმე აქტივობა იძულებით. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე უარს აცხადებს რაიმე აქტივობაში მონაწილეობის მიღებაზე უმჯობესია მას ძალდატანების გარეშე უბრალოდ მივცეთ ისეთი დავალება, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებს საუბარს, მისი ყოველი პატარა მცდელობა შევაქოთ, გავზარდოთ მისი შინაგანი მოტივაცია წახალისებითა და მოდელირებით, რითაც ავუმაღლებთ მას თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობას და სწორედ ამ გზით მივაღწევთ სწავლის სასურველ შედეგს.

რა უნდა გავითვალისწინოთ აქტივობების დაგეგმვასა და ორგანიზების დროს?

სასაუბრო აქტივობების შერჩევის და დაგეგმვის დროს საჭიროა პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვებს:

1. უნდა მივაწოდოთ თუ არა საკვანძო სიტყვები და ფრაზები მოსწავლეებს წინასწარ?

2. მუშაობის რომელ ტიპს მივმართავთ - წყვილებში? ჯგუფურად? ინდივიდუალურად?
3. როგორი იქნება მოსწავლეების უკუკავშირი?

გარდა ამ ყველაფრისა, აქტივობები უნდა იყოს მათი შესაძლებლობების შესაბამისი, საინტერსო და სახალისო. იმისათვის რომ თითოეულმა მოსწავლემ სწორად და ნათლად გაიგოს შესასრულებელი დავალება, აუცილებელია ინსტრუქცია განვუმარტოთ მკაფიოდ და ნათლად. უნდა დავიცვათ დრო, წინასწარ უნდა განვუმარტოთ ბავშვებს თუ რა კრიტერიუმებით შევაფასებთ მათ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვიყენოთ სასაუბრო აქტივობების შეფასების რუბრიკები, სადაც კარგადაა გამოხატული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები. ამ შემთხვევაში შეფასება ხდება ძირითადად 2 კრიტერიუმით: accuracy - სიზუსტე (გრამატიკა,წარმოთქმა, ლექსიკური მარაგი) და Fluency - გაბმული მეტყველება.

უცხო ენის შესწავლის საწყის ეტაპზე ბავშვები განსაკუთრებით კარგად ითვისებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც გადავსცემთ, ამიტომ თავიდანვე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს გამოვუმუშაოთ სწორი წარმოთქმის უნარი. დღევანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებს თან ერთვის მოსმენისთვის განკუთვნილი დისკები (CD), რომლებიც აუდიო და ვიდეო მასალებს შეიცავს. მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ჩანაწერს, მოსმენის დროს კი ბავშვები იმეორებენ სიტყვებსა და ფრაზებს. გარდა იმისა, რომ ამ მეთოდით მოსწავლეებს მოსმენის უნარები უვითარდებათ, ასევე საუკეთესო საშუალებაა ის ზეპირმეტყველების განვითარებისათვის.

მრავალი კვლევა-ძიება მიმდინარეობს იმის გასაგებად, უცხო ენის შესასწავლად რომელი სტრატეგიაა უფრო ეფექტური და სასარგებლო. ამ მიმართულებას მიეკუთვნება წარმატებული და კარგი შემსწავლელის კვლევა. მისი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ენის წარმატებული შემსწავლელისათვის ერთდროულად მნიშვნელოვანია ფორმაც და მნიშვნელობაც. ამასთანავე, ის მეტად აქტიურია და მისი სასწავლო პროცესის უფრო ეფექტური და მოქნილი რომ გახადოს აქტიურად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიებს. კველევებმა ასევე აჩვენა, რომ წარმატებული შემსწავლელი არაწარმატებულ შემსწავლელთან შედარებით, მეტ სტრატეგიებს იყენებს. ისეთი სტრატეგიების გამოყენება, მაგალითად როგორიცაა, ახალი სიტყვების დამახსოვრებაზე ვარჯიში, ლინგვისტური კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს,

ხოლო იმ სახის სტრატეგიების გამოყენება, როგორიცაა, უცხო ენის ბუნებრივ მატარებელთან საუბარი, კომუნიკაციის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ სტრატეგიების კვლევა, რომელსაც უცხო ენის შემსწავლელი იყენებს, ძალიან მნიშვნელოვანია რათა, დავადგინოთ რომელი სტრატეგია ახდენს მასზე დადებით ზეგავლენას, შემდგომ კი სწორედ ამ სტრატეგიების გამოყენებით გავაგრძელოთ სწავლება. მაგალითად, თუ მოსწავლეებს ვუხსნით და ვასწავლით გარკვეულ გრამატიკულ თემას, გარდა ამ თემისა ისიც უნდა ვასწავლოთ, როგორ გაიგოს და დაიმახსოვროს ის. იმ შემთხვევაში თუ ახალ სიტყვებს ვასწავლით, აუცილებელია დავეხმაროთ ამ სიტყვების სწორად და უკეთ გაგებაში. მაგალითად, მოახდინონ რაიმესთან ამ სიტყვის გაიგივება, როცა მისი გახსენება ან გარკვეულ კონტექსტში გამოყენება იქნება საჭირო.

მეთოდებზე და სტრატეგიებზე ორიენტირებული მიდგომები საშუალებას გვაძლევს ენის შემსწავლელი უფრო დამოუკიდებელი იყოს ენის სწავლის პროცესში. ამ სტრატეგიების განვითარება ბავშვებს საშუალებას აძლევს დაგროვილი ცოდნის წარმატებით გამოყენებაში. კონკრეტულ მეთოდებსა და სტრატეგიებს პრაქტიკულ ნაწილში განვიხილავ. (განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ი. ხასაია „ უცხო ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასში“ 2018წ.)

<u>III თავის დასკვნა:</u> უცხო ენის, განსაკუთრებით, ინგლისურის სწავლა/სწავლების პროცესი ეფექტურად რომ განხორციელდეს საჭიროა ოთხივე კომპონენტის (კითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი) გათვალისწინება, ეს კი აქტივობების შესაბამისი დაგეგმვითა და განხორციელებით უნდა მოხდეს.

მეთოდებზე და სტრატეგიებზე ორიენტირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო დამოუკიდებელი იყვნენ ენის სწავლის პროცესში. ამ ოთხი კომპონენტის უნარ-ჩვევების განვითარება ბავშვებს საშუალებას აძლევს დაგროვილი ცოდნა წარმატებით გამოიყენონ პრაქტიკაში.

თავი IV. თამაშების გამოყენება პრაქტიკაში

სათამაშო ელემენტთა სიუხვე ნებისმიერი კულტურისა და ერის ადამიანებში ჰუმანიტარული განვითარების ერთ-ერთ კრიტერიუმად გვევლინება. ბუნებაში ბავშვური თამაშები სწორედაც რომ ბავშვის ყოველმხრივი განვითარების მიზნით შეიქმნა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ ადამიანთა საქმიანობის ყველა ფორმა თამაშებთან გენეტიკურ კავშირში უნდა იყოს, რამდენადაც თამაში წარმოადგენს შემეცნების, შრომის, ურთიერთობის, ხელოვნების, სპორტის და სხვა მრავალი აქტივობების ბავშვურ ფორმას. რაც შეეხება სასწავლო თამაშების მიზანშეწონილად გამოყენებას, ამით მოსწავლეებში ყალიბდება პიროვნული თვისებების შესაძლებლობისა და ნიჭის გამოვლენის უნარები. ისინი უფრო თავისუფალი ხდებიან საკუტარი „მე“ წარმოჩენაში და უფრო მარტივად შედიან თამაშში მონაწილე სხვა ბავშვებთან ინტერაქტიურ ურთიერთობებში.

შესაბამისად თამაშს ძალიან დიიდ მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ მეგობრული ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის არამედ მას ერთ-ერთი ძლიერი საგანმანათლებლო როლი აკისრია გაკვეთილის წარმათვის მეთოდიკაში რაც თავის მხრივ ათვისებული ცოდნის ხარიხზე პოულობს ასახვას.

საყოველთაოდ ცნობილია რომ თამაშით სწავლება სპეციფიკური საშუალებაა და ამავე დროს ბავშვის აქტივობის დამახასიათებელი პროცესიც არის. ის იყო და რჩება როგორც ჩვენი ქართველი ასევე უცხოელი მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ საინტერესო ობიექტად. ჯერ კიდევ მე 19 საუკუნეში ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი რომელიც შეწუხებული იყო სასაწავლო აღმზრდელობითი სფეროს პრობლემებით მასწავლებლებს მოუწოდებდა გამოეყენებინათ თამაშები საგანმანათლებლო მოღვაწეობაში.

მოსწავლეთა თამაშებრივი აქტივობების დინამიკა და გენეზისი თავისებური და რთულია და სავარაუდოდ ამით აიხსნება პედაგოგების აზრთა არსებითი წინააღმდეგობრივი სხვადასხვაობა თამაშის როლის შეფასებისას. შეიძლება ვიფიქროთ რომ ერთი მხრივ თამაშებმა ვერ დაიჭირა სათანადო ადგილი სწავლებაში მეორე მხრივ თამაში „დიდაქტიკით არის გადატვირთული, სადაც მოსწავლის ყოველი

ქმედება, ნაბიჯი და რეაქცია რეგლამენტირებულია და კონტროლს დაქვემდებარებული. ხსენებული ნაკლის მიზეზი სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება იყოს მაგრამ ვფიქრობ რომ ერ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მასწავლებელთან გარკვეული რაოდენობის მიერ პიროვნების ჩამოყალიბებაში თამაშის ფუნქციისა და მნიშვნელობის უგულებელყოფა და არასათანადოდ დაფასება.

თამაშების მთავარ ელემენტად გვევლინება თამაშებრივი როლები იმის და მიუხედავად თუ რამდენად მნიშვნელოვანი არიან ისინი მოცემულ თამაშში. მთავარია რომ ესა თუ ის როლი ხელს უწყობდეს ადამიანური ურთიერთობების მრავალფეროვნებას რაც ჩვეულებრივ ყოფაში გვხდება თუ კი თამაშს გამოვყოფთ და მის საფუძველში ჩავდებთ სასწავლო მიზნებთან ერთად საკომუნიკაციო განზრახვებს ის შინაარსობრივად დატვირთული და სასარგებლო იქნება. რაც შეეხება თმაშის განმავითარებელ ფუნქციას ის თავად მის ბუნებაში დევს რაც ნიშნავს რომ ემოციის მატარებელია და სადაც ემოციაა იქ აქტივობაცაა, ყურადღებაც არის და წარმოსახვაც, რაც თავისთავად გულისხმობს რომ აზროვნებაც აქტიურია. ამგვარად სასწავლო თამაში არის:

- ✓ შემოქმედება (სამეტყველო)
- ✓ მოტივირება (სადაც იძულებას არ აქვს ადგილი)
- ✓ ინდივიდულიზირებული შემოქმედება (პირადული)
- ✓ ჯგუფური სწავლება და აღზრდა თავად ჯგუფში.
- ✓ ფსიქოლოგიოური ფუნქციებისა და უნარების განვითარება.
- ✓ სწავლება გატაცების ჩართულობით.

ასევე შესაძლებელია გამყოთ უცხო ენის გაკვეთილებზე თამაშის გამოყენების მიზნები:

- ✓ გარკვეული უნარ-ჩვევების ფორმირება(ჩამოყალიბება)
- ✓ კონკრეტული სამეტყველო უნარების განვითარება
- ✓ ურთიერთობის უნარის სწავლება
- ✓ ფსიქიკური ფუნქციებისა და სხვა აუცილებელი უნარების განვითარება.
- ✓ შემეცნება (მშობლიური ენის დონეზე მაინც)
- ✓ სამეტყველო მასალის დახსომება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დაწყებით კლასებში თამაში ინსცენირება რომლის საფუძველი იყო მინი დიალოგი, ისინი სასარგებლოა უპირველეს ყოვლისა იმითი რომ მოსწავლეებში შემოქმედებითი გამომსახველობითი მეტყველების უნარის განვითარებას იწვევს. თამაშ-ინსცენირებაში მონაწილეობისას მოსწავლე ერთდროულად გვევლინება როგორც ობიექტად რომლისკენაც მასწავლებლის ნება და განსაკუთრებული ყურადღება არის მიპყრობილი ასევე სუბიექტად რომელიც ეცნობა უცხო ენოვან კომუნიკაციურ სამყაროს. უცხო ენის გაკვეთილზე თამაშით ინსცენირება მოსწავლეებში შესაძლებლობას გვაძლევს მარტივად და მოტივირებულად აითვისონ საჭირო სიტყვები და ფრაზული გამოთქმები. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის სწავლების ძირითადი ობიექტები, მიუხედავად იმისა რომ თვით თამაში ყურადღების ცენტრში ექცევა. უცხოური ენის გაკვეთილზე ერთ ერთ მოწინავე ადგილს იკავებს დიდაქტიკური თამაშები როგორც მოსწავლეებში ზეპირმეტყველების განვითარების საყოველთაოდ აღიარებული ფორმა. დაწყებითი კლასებისათვის, მაგ. ლოტოს ან ბინგოს სხვადასხვა სახეები, ეს თამაში სათამაშო მასალების ლავირების ფართო შესაძლებლობას იძლევა, რაც ხელს უწყობს ლექსიკური ერთეულების მყარად ათვისებას. მოსწავლე თანდათანობით ლექსიკის ათვისების ვიზუალურ-ეფექტურ მეთოდიდან (მასწავლებელი ასახელებს საგანს და აჩვენებს მას) გადადის ლექსიკურ ფიგულარულ მეთოდზე (მასწავლებელი აგებს სხვადასხვა ტიპის წინადადებებს იმ საგნის შესახებ რომელიც მოცემულ მომენტში ვუზიუალურად არ წარმოჩნდება). აუცილებელია ვეცადოთ რომ, ლოტო/ბინგო თამაში გახდეს საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი კომპონენტი და ხელი შეუწყოს მოსწავლის მიერ ლექსიკის თანდათანობით და თანმიმდევრულ დაგროვებას. ასევე, დაწყებითი კლასის მოსწავლის ყოველმხრივ განვითარებას. დაწყებით სკოლაში ინგლისური ენის სწავლება სახალისო პროცესია რომელიც ერთნაირად საინტერესოა როგორც მოსწავლის ასევე მასწავლებლისათვისაც. მასწავლებლის შესაძლებლობა ორგანიზება გაუწიოს კლასში მოსწავლეებთან კომუნიკაციას განსაზღვრავს უცხო ენის სწავლების პედაგოგიურ პროცეს, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა პიროვნული მახასიათებლების გამოვლენას. დაწყებით ეტაპზე მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს ინგლისური ენის გაკვეთილი დაწყებითი კლასის ბავშვების ფსიქოლოგიური მახასიათებლის საფუძველზე. ამ ასაკში წამყვანი საქმიანობა

საგანმანათლებლო საქმიანობაა თუმცა თამაშს მაინც ბევრი დრო ეთმობა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სკოლის მოსწავლეების ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების განვითარებაში. ბავშვის მეხსიერება თანდათან იძენს თვითნებობის მახასიათებლებს, ხდება შეგნებულად რეგულირებული და გაკონტროლებული, დააახლოებით ორჯერ უფრო მეტად იზრდება ყურადღების მოცულობა, მყარდება მისი სტაბილურობა და ვითარდება ყურადღების გადართვის და განაწილების უნარები. ახალი ცოდნის ათვისების პროცესში ხდება ვერბალურ-ლოგიკური მსჯელობის, აზროვნების განვითარება.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან მუშაობისას მასწავლებლის ძირითად ამოცანას ენის შემსწავლელთან ინდივიდუალური შესაძლებლობის მიგნების და მათი რეალიზაციის ოპტიმალური პირობების შექმნა წარმოადგენს. ფსიქოლოგთა შეხედულებების მიხედვით დაწყებით კლასების მოსწავლეთა ასაკი „ სასკოლო ბავშვობის“ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ ასაკში ძირითადი სასკოლო ცხოვრბის (და არა მარტო) მთელი პროცესის მრავალმხრივობის განმსაზღვრელია. უცხოური ენების სწავლებისას მოსწავეები დამატებითი სირთულეების წინაშე დგებიან, მოტივაციისა და შემეცნებითი აქტივობების დაქვეითება- შემცირება შეიძლება დაკავშირბული იყოს არამშობლიურ (უცხო ენაზე) სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლების სირთულეებთან. ზოგჯერ სხვა საგნებში საკმაოდ ძლიერი მოსწავეებიც უცხო ენოვან გარემოში ჩართვის პროცესში გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდებიან. უცხო ენის მასწავლებლის არსენალში მთელი რიგი ხერხები და მეთოდებია რომელიც მიმართულია დაწყებითი კლასის მოსწავლეებში სასწავლო მოტივაციის ამაღლებისა და შემცნების ინტერესების განვითარებისაკენ.

თვალსაჩინოებათა ტრადიციული მეთოდების (ბარათები, სურათები, ილუსტრაციები, სათამაშოები, მაგნიტური დაფა, აუდიო მასალები) გამოყენება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან (მულტიმედიური პრეზენტაციები, პროექტული სწავლების მეთოდიკა, ელექტრონული საშუალებები, სხვადასვხა მედია პროდუქტები, განმავითარებელი კომუნიკაციური მიმართულების სათამაშო მეთოდები და ხერხები) ერთად შეთანხმებაში ამსუბუქებს საწავლო პროცეს, ხელს უწობს მოსწავლეებში შემეცნებითი აქტივობების ინტენსივობის ზრდას და უცხოური ენისადმი კეთილგანწობისა და სიყვარულის ფორმირებას.

მნიშვნელოვანია დაწყებით ეტაპზე სწორად ავაგოთ უცხოური ენის სწავლების პროცესი. უმცროსი სასკოლა ასაკის თავისებურებები კეთილგონივრულ ზემოქმედებას ახდენს ბავშვების მიერ უცხო ენოვანი სამეტყველო კომუნიკაციის წარმატებით დაუფლებაზე. ბავშვები გამოირჩევიან უცხოენოვანი ენობრივი მასალის სხარტი და მოქნილი დამახსოვრების უნარით, მათ ნაკლებად ახასიატებთ ურთიერთობაში ენობრივი ბარიერის კომპლექსი, ამავდროულად უმცროსკლასელ მოსწავლეებში ნაკლებად არის განვითარებული თვითნებურად გამოვლენის უნარი, ასოცირებული მეხსიერება, ლოგიკური აზროვნება, რაც უცხოური ენის სწავლა/სწავლების პროცესში შემაფერხებლ ფაქტორებად გვევლინება. მოცემულ ასაკობრივი თავისებურებების კომპესირებას მასწავლებელი გაკვეთილზე თამაშებით შეჯიბრბებებით, კონკურსებით, ვიქტორიბნეით ილუსტრირებულ-გამომსახველობითი თვალსაჩინოებებით, მუსიკით, რიტმული ხერხებით მოძრაობებით ხატვით და სხვა აქტოვობების გამოყენებით ახდენს. დაწყებით კლასებში მოსწავლეებინ უცხო ენის გაკვეთილზე უცხო ენოვან გარემოში თანდათანობით თამაშების საშუალებით ერთვებიან. თამაშებრივი ხერხებისა და მეთოდების გამოყენება უმცროსკლასელთან სწავლების პროცესის ორგანიზებაში ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

თამაშებრივი მეთოდები და ხერხები უნივერსალურობით ხასიაათდებიან, ისინი შესაძლებელია გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე იქნას გამოყენებული, სხვადასხვა მიზნებზე და ამოცანებზე იყოს მორგებული. თამაში თავისთავად უამრავ ფუნქციას ასრულებს ბავშის განვითარების პროცეში. ამსუბუქებს თვით სასწავლო პროცეს ეხმარება მასალის ათვისებაში და ავითარებს აუცილებელ კომპეტენციებს. მასწავლებელი თამაშის საშუალებით თავის მოსწავლეებს უყალიბებს და უვითარებს საჭირო ინფორმაციის მოძიებს, მისის საჭიროებისამებრ გარდაქმნის, მასზე დაყრდნობით სტანდარტული სიტუაციების საფუძველზე გადაწყვეტიებების გამოტანის უნარ-ჩვევებს. ამიტომ თამაში წარმოადგენს ბავშვის საქმიანობის მთავარ ფორმას, საშუალებას იძლევა გადაილახოს სირთულეთა უმეტესი ფაქტორები რომლებიც დაკავშირებულია უცხო ენის გავლენასთან პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.სათამაშო სიტუაციების სიმრავლე, სხვადსსხვა სიუჟეტები გაკვეთილზე

სიხარულის ატმოსფეროს, შემოქმედების, ხელსაყრელი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას უწობს ხელს. უცხოური ენის ათვისების პროცესში მოსწავეელი ხატავენ,მღერიან იგონებენ სხვადსხვა გმირებს და მათ მინი ისტორიებს, სწავლობენ ლექსებსა და სიმღერებს. მონაწილეობას იღებენს სხვადსხვა კონკურსებში რომელსაც მასწავებელი გაკვეთილზე ატარებს. თამაშებში ყველა მონაწილეობს როგორც ძლიერი ასევე სუსტი მოსწავლეც. დაწყებითი კლასების მოსწავეთა ასაკი ბავშვებში მნიშვნელოვანი პერიოდია ზუსტად ამ დროს მოსწავეელბი გარესამყაროს შემეცნებას არამარტო მასწავლებლის დახმარებით აღწევს არამედ ის დამოუკიდებელად სწავლისა და ძიების უნარს იძენს. სკოლის წლებში შემეცნებითი აქტივობა დაწყებით კლასებში რეპროდუქციულ - მიმბაძველობითი ფორმიდან უფროს კლასებში შემოქმედებითად შემეცნებითი აქტივობების ფორმებამდე ვითარდება. აქტოვობის ამ დონის მიღწევისა და გამყარების ძირითად პირობად პედაგოგის პროფესიული კომპეტენცია, თითოეულ მოსწავლესთან მიდგომის პოვნის უნარი, საბავშვო კოლექტივის ჩამოყალიბების უნარი წარმოადგენს.დაბალ კლასებში შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი თამაშები.

4.1. ინტერკულტურული (კულტურათაშორისი დიალოგის) სწავლების ეფექტური მეთოდები/აქტივობები.

ინტერკულტურულ განათლებას თუ საქართველოს ეროვნული სასაწავლო გეგმის მიხედვით განვიხილავთ ვნახავთ, რომ მისი მნიშვნელობა არასისტემურად არის წარმოდგენილი. ეს ნაკლი ეხება ყველა იმ საგანს, რომელიც ამ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა შედგენილი. არსებული ნაკლის აღმოფხვრა კი გარკვეულწილად მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული, იმაზე თუ როგორ მოარგებს არსებულ მწირ რესურსებს შესაბამის საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ახლა კი განვიხილოთ რამდენიმე საინტერესო აქტივობა რომელიც მოსწავლის ახალი ცოდნის და ინტერკულტურული კომპეტენციების განსავითარებლად შეიძლება განვიხილოთ. ამისათვის ავიღოთ ერთ-ერთ სახელმძღვანელოს თემა: **The Sami Of Northen Europe.**

თავდაპირველად ვთხოვოთ ბავშვებს წიგნში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით **გონებრივი იერიშით** დაახასიათონ ჩრდილოეთ ევროპის ეს ხალხი. აქ უკვე ზოგადად

ჩამოთვლიან: They are nomads (მომთაბარეები არიან),They live in tents (ისინი ცხოვრობენ კარვებში) They make shoes, jackets, and pants from reindeer skin (ისინი ამზადებენ ფეხსაცმელს, ქურთუკებს,შარვლებს ირმის ტყავისგან) და ა.შ.

აქტივობებს შორის შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ **„საერთო მოთხოვნილებების“** მეთოდი. ამ მეთოდის საშუალებით გამოვყოფთ იმ საერთო მოთხოვნილებებს, რომელიც ადამიანებს აქვთ და რომელთა დაკმაყოფილებასაც სხვადასხვა გზით ცდილობენ, გამომდინარე მათი ტრადიციების, ბუნებრივი მდებარეობის და სხვათა მიხედვით. ამ შემთხვევაში მე შედარებისთვის გამოვიყენე აჭარელი მომთაბარეები და The Sami people. შევადარეთ ერთმანეთს ისტორია, კულტურა, შეხედულებები, საკვები, საცხოვრებელი გარემო და ა.შ. ამ შედარების გამოყენებით საშუალება მომეცა ბავშვებისთვის უფრო მარტივად გამეცნო განსხვავებული კულტურა და შესაბამისად მათაც მარტივად მიეღოთ ის.

განვიხილოთ რამდენიმე აქტივობა, რომელიც ამავე გაკვეთილზე შეგვიძლია გამოვიყენოთ:

აქტივობა №1 პოსტერი

მიზანი: მოსწავლეები შეძლებისდაგვარად მეტ ინფორმაციას აგროვებენ ჩრდილოეთ ევროპაში მცხოვრები სემი ადამიანების შესახებ პოსტერის „წაკითხვის“ საფუძველზე (ფერადი ფოტოებით შედგენილ პოსტერზე ასახულია ჩრდილოეთ ევროპაში მცხოვრები სემი ადამიანების ცხოვრება და იქაური ბუნება). პოსტერის საშუალებით ისინი სემი ადამიანების ცხოვრების მაგალითზე შეძლებენ საწყისი მოსაზრებების ჩამოყალიბებას სემი ხალხთა ცხოვრების წესის შესახებ.

რესურსები: ჩრდილოეთ ევროპის სემი ხალხის ცხოვრების ამსახველი ერთი ცალი პოსტერი (რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ამზადებს), ფლიფჩატი და მარკერები. **მეთოდის აღწერა:** მოსწავლეები ჯგუფდებიან. თითოეული მათგანი იწერს ჯგუფის წევრების მოსაზრებებს,რომელსაც შემდგომ სხვა ჯგუფს გაუზიარებენ.

ერთი ჯგუფი მუშაობს გაარემოზე– ისინი აკვირდებიან პოსტერს და იწერენ ჩრდილოეთ ევროპის ამ დასახლების გარემოსთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

საორიენტაციო კითხვები: სად მდებარეობს? რა ცხოველები ბინადრობენ?

რა მცენარეები ხარობს? როგორი კლიმატია?

მეორე ჯგუფი მუშაობს ამ ხალხის საქმიანობებზე. პოსტერზე დაკვირვებით ისინი იწერენ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

საორიენტაციო კითხვები: რას საქმიანობს სემი ხალხი? როგორ ირჩენს თავს?

მესამე ჯგუფის ასევე პოსტერზე დაკვირვებით შეისწავლიან მათი ცხოვრების წესს და აკეთებენ ჩანაწერებს.

საორიენტაციო კითხვები: სად ცხოვრობენ ადამიანები? რითი ერთობიან?

რა დღესასწაულები აქვთ?

პროცედურა: ურთიერთთანამშრომლიოის და „ჯიგსოუ“-ს მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები მათ წილ ცოდნას აერთიანებენ და ერთ მთლიან სურათად წარმოადგენენ. ყველა ჯგუფს ყავს უფროსი, რომელიც მთელი ჯგუფის მოსაზრებებს აცნობს სხვა ჯგუფებს, ხდება ინფორმაციის გაცვლა და საბოლოოდ ერთიანად ღებულობენ ცოდნას ჩრდილოეთ ევროპაში მცხოვრები სემი ხალხის შესახებ. გარდა ამისა ამ აქტივობაში ჩართული უნდა იყოს ყველა მოსწაცლე და ვერცერთი მოსწავლე სხვის ხარჯზე ვერ „გაძვრება“.

აქტივობა №2 რუკაზე მუშაობა / ასოციაციური რუკა

მიზანი: სემი ხალხის საცხოვრებლის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

რესურსები: Google Maps-ი, Google Earth-ი ან მსოფლიოს რუკა.

პროცედურა: მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ და რუკის დახმარებით

ეძებენ ჯერ ევროპის ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო შემდეგ სემი ხალხის დასახლებას.

აქტივობა №3 უკანასკნელი სემი ადამიანი.

მიზანი: მოსწავლეები გაიფართოვებენ ცოდნას სემი ხალხის შესახებ.

რესურსი: მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ვრცელი სტატია სემი ხალხის შესახებ.

პროცედურა: მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ან ერთად მუშაობენ. მასწავლებელი უკითხავს ამ ვრცელ სტატიას, მოსწავლეები თავიანთთვის ინიშნავენ საინტერესო დეტალებს. ბოლოს კი მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეხედონ პოსტერს და პოსტერისა და წაკითხულის საფუძველზე იმსჯელონ სემი ხალხის საცხოვრებელი გარემოს, საქმიანობისა და ცხოვრების წესის შესახებ. სთხოვეთ ყოველ ჯგუფს დაასახელოს ერთი ახალი ინფორმაცია.

აქტივობა №4 როლური თამაში

გაითამაშებენ როლებს.

პროცედურა: წრეში მჯდომ მოსწავლეებს მასწავლებელი სთხოვს დახუჭონ

თვალები და წარმოიდგინონ, რომ ჩრდილოეთ ევროპის ამ დასახლებაში ცხოვრობენ. ისინი ერთ-ერთი სემი ხალხის ოჯახის წევრები არიან. მათ უნდა აღწერონ გონების თვალით დანახული სცენები. მოსაფიქრებლად გამოყოფილი დროის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ სემი ხალხის ცხოვრების აღწერას და განსახიერებას (მაგ., „ეს ოჯახის უფროსი, მამაა და შეშას ეზიდება“, „დედა საჭმელს ამზადებს“ და ა.შ.) საუბართან ერთად მოსწავლეები „ასრულებენ“ აღწერილ მოქმედებას.

აქტივობა №5 გონებრივი რუკა

მიზანი: საკუთარ და სემი ხალხის ცხოვრების წესს შორის მსგავსებისა და

განსხვავების მოძებნა.

რესურსი: ორმაგი ბუშტისებრი გონებრივი რუკა

პროცედურა: მასწავლებელი დაფაზე ხატავს ორმაგ ბუშტისებრ რუკას, ერთ–ერთ დიდ წრეში წერს „ჩემი ოჯახი“, ხოლო მეორეში – „სემი ოჯახი“. შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს შუაში მდებარე „საერთო“ წრეებში ის სიტყვები/ფრაზები ჩაწერონ, რომლებიც საერთოა ამ ორი ოჯახისთვის. მთავარ წრეებთან დაკავშირებულ გარე წრეებში კი, ის სიტყვები/ფრაზები, რომელიც ამ ორ ოჯახს ერთმანეთისაგან განასხვავებს.

ამგვარი აქტივობები ხელს უწობს მოსწავლეებში აზროვნების განვითარებას. მოსწავლეები ხდებიან უფრო შემეცნებითი და უვითარდება მსჯელობის უნარი.

4.2 პრაქტიკული თამაშები და აქტივობები დაწყებით კლასებში.

თამაში 1. "The Lotto / ლოტო"

მიზანი: ეს თამაში გარდა იმისა, რომ შესწავლილი თემის გამეორებას უწყობს ხელს, ასევე ის მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას.

რესურსი: პატარა ტომარა, პლასტიკური ანბანი, ლოტოს ბილეთები, პატარა ოთხკუთხა ფურცლები.

თამაშის აღწერა:

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ლოტოს ბილეთს რომელსაც ადგენს იმის მიხედვით თუ რისი გამეორება გვინდა. დაწყებით ეტაპზე მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ ასოების გასამეორებლად. ლოტოს ბილეთზე დატანილია ნასწავლი ასოები და ამ ბილეთებს მასწავლებელი ურიგებს ბავშვებს. პატარა ტომარაში აქვს ცალკე ასოები რომელსაც ერთმანეთში ურევს და თითო-თითოდ იღებს ტომრიდან. ყოველ ამოღებული ასო უნდა მოძებნონ თავიანთ ლოტოს ბილეთში მოსწავლეებმა და აღნიშნოთ ის. გამარჯვებულია ის რომლის ბილეთშიც ყველა ასო ამოვა.

თამაში 2. "The dice / კამათელი"

მიზანი: ეს თამაშიც ასევე საუკეთესო საშუალებაა გავლილი მასალის გამეორებისათვის ის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული თემების განმეორებისას.

რესურსი: კამათელი, პლაკატი.

თამაშის აღწერა: მასწავლებელი თაბახის ფურცელზე წინასწარ ჩამოწერს იმ 12 თემას რომლის განმეორებასაც აპირებს გაკვეთილზე, პლაკატზე შეიძლება დაწერო შეკითხვები ან გარკვეული თემების სათაურები. ამ პლაკატს აკრავს დაფაზე, შემდეგ კი აძლევს კამათლებს, ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე

წყვილებში ან ჯგუფურად, ეუბნება, რომ გააგორონ კამათლები და მათ მიერ გაგორებულ კამათლებზე ამოსული ციფრის მიხედვით, პლაკატზე თანმხვედრი ციფრის თემა უნდა ჩააბარონ მასწავლებელს ან უპასუხონ შეკითხვას. გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე მეტ თემას სწორად უპასუხებს ან ჩააბარებს.

თამაში 3. "Cooking / მზარეულობანა "

მიზანი: ეს თამში საშუალებას გვაძლევს ბავშვებს ვასწავლოთ სიტყვების როგორც გამოთქმა, ასევე სწორად წერაც. გარდა ამისა ის მოსწავლეებს უმაღლებს მოტივაციას.

რესურსი: სათამაშოები (სამზარეულოს), პლაკატი (მენიუ), წინასწარ გამოჭრილი დიდი და პატარა ასოები, ფულის იმიტაცია.

თამაშის აღწერა: მასწავლებელი წინასწარ ადგენს მენიუს (მენიუ შეიძლება ბავშვებთან ერთად ადგილზეც იქნას შედგენილი). მენიუში შეიძლება შედიოდეს მაგალითად ფერები, ცხოველები, ოჯახის წევრების სიტყვები და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი ანაწილებს როლებს. ირჩევს ერთ ან ორ მზარეულს (დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე, შეიძლება როლების გაცვლაც), ხოლო დანარჩნები არიან კლიენტები. კლიენტი მიდის მზარეულთან და უკვეთავს მენიუში მოცემულ რომელიმე სიტყვას (კერძს), მზარეული კი უმზადებს ანუ იქვე არსებული ასოების საშუალებით სწორად უნდა შეადგინოს შეკვეთილი სიტყვა. თუ მზარეული მას სწორად შეადგენს მაშინ კლიენტი ყიდულობს მას, მაგრამ თუ სწორად ვერ შეადგენს, არ ყიდულობს. გამარჯვებულია ის ვინ მეტ ფულს დააგროვებს ანუ მეტ სიტყვას გაყიდის.

თამაში 4. "The humming top / ბზრიალა"

მიზანი: ეს თამაში ხელს უწყობს კითხვის უნარების განვითარებას და ბავშვების წახალისებას კითხვაში.

რესურსი: ისრიანი ბზრიალა (შეგვიძლია გამოვიყენოთ ცარიელი წყლის ბოთლი), წასაკითხი ტექსტი ფურცლის პატარა ნაწილები.

თამაშის აღწერა: მასწავლებელი წრეზე ალაგებს ფურცლის პატარა ნაწილებს. შუაში დებს ბზრიალას ან წყლის ბოთლს. გამოიძახებს მოსწავლეს და სთხოვს დაატრიალონ ბზრიალა. ისარი რომელ ფურცელთანაც გაჩერდება ის ნაწილი უნდა აიღონ და წაიკითხონ სწრაფად. გამარჯვებულია ის ვინც მეტ ტექსტს წაიკითხავს უშეცდომოდ.

თამაში 5. "Remind the words with a ball / სიტყვების გახსენება ბურთით".

მიზანი: ამ თამაშის მიზანია ასოციაციური სიტყვების გახსენება რაც შეიძლება სწრაფად და სწორად ჩამოთვლა.

რესურსი: ბურთი

თამაშის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს წრეზე იღებს ბურთს აწვდის მას რომელიმე ერთ მოსწავლეს და თან ეუბნება მაგალითად, ჩამოთვალე 5 ცხოველი, 5 ფერი ან 5 ამინდის აღმნიშვნელი სიტყვა და ა.შ. მოსწავლე სწრაფად ამბობს და უბრუნებს ბურთს უკან მასწავლებელს. მასწავლებელი შემდეგ გადადის სხვა მოსწავლესთან იგივე თხოვნით. წრიდან ვარდება ის ვინც ვერცერთს ან 5 სიტყვას ვერ იტყვის. გამარჯვებულია ის ვინც ბოლომდე დარჩება წრეში.

თამაში 6. T"he Postman / ფოსტალიონი".

მიზანი: ამ მეთოდის საშუალებით ბავშვებს ვასწავლით არა მარტო კითხვას არამედ სიტყვების დახარისხებას სხვადასხვა ნიშანთა სისტემის მიხედვით.

რესურსი: სიტყვების ბარათები (წერილები)

თამაშის აღწერა: ერთი მოსწავლე ასრულებს ფოსტალიონის როლს. ის ურიგებს „წერილებს" (თითო სიტყვის ბარათს) დანარჩენ მოსწავლეებს. მნიშვნელოვანია ბარათები ისე დაუწყოს, რომ სიტყვები არ ჩანდეს. როცა ყველა „წერილი" დარიგდება, თითოეული მოსწავლე მიმდევრობით კითხულობს თავის სიტყვას. ბარათის ამობრუნება დასაშვებია მხოლოდ წაკითხვის წინ. მასწავლებელი მოსწავლეებს იძახებს სიტყვის სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. მაგ. გამოვიდნენ ის მოსწავლეები რომელთა სიტყვებშიც ასობგერა "A"-ია, რომელთა სიტყვებშიც სამი მარცვალია, ოთახის კარებთან დაჯგუფდნენ მოსწავლეები რომლთა სიტყვაც იწყება ხმოვნით და ა.შ. გამოძახებული მოსწავლეები კლასის წინ დგებიან მაღლა აწეული ბარათებით, რომ სხვებმაც წაიკითხონ მათი სიტყვები.

თამაში 7. „A thief wants / ქურდს უნდა".

მიზანი: ამ თამაშის მიზანია ნასწავლი ასოების განმტკიცება და მათი ამოცნობა სიტყვებში.

რესურსი: ფურცლებზე წინასწარ მომზადებული ტექსტი ან სიტყვების ჩამონათვალი.

თამაშის აღწერა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ ტექსტს ან სიტყვათა ჩამონათვალს და ეუბნება, რომ ქურდს უნდა მოიპაროს სიტყვა რომელშიც არის ესა თუ ის ასო. ეუბნება რომ მათ შეუძლიათ ამ სიტვის გადარჩენა თუ მოცემულ ასოს იპოვნიან და ხაზს გაუსვამენ, ამ შემთხვევაში ქურდი მას ვეღარ მოიპარავს.

თამაში 8. "Adverb Action / ზმნიზედის მოქმედება"

მიზანი: ამ აქტივობის მიზანი არის კონკრეტული გრამატიკული თემის ზმნიზედის სწავლა და დამახსოვრება.

რესურსი: ასოების ბარათები სიტყვებით

თამაშის აღწერა: მასწავლებელი დაფაზე წერს აქტივობას მაგალითად, „Brush your teeth / გაიხეხე კბილები". ის შეარჩევს ერთ მოსწავლეს და გამოიყვანს კლასის წინ. ამის შემდეგ მასწავლებელი მას ჩუმად აჩვენებს „ S" ასოს ბარათს სიტყვით „Slowly". არჩეულმა მოსწავლემ მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილ წინადადებაში გამოხატული მოქმედება ამ ზმნიზედის შესაბამისად ანუ ნელა უნდა შეასრულოს. სხვებმა კი უნდა გამოიცნონ ეს ზმნიზედა. ვინც სწორად გამოიცნობს მიიღებს ერთ ქულას და შემდეგ თავად შეასრულებს სხვაგვარ მოქმედებას, რომელსაც მასწავლებელი დაუწერს.

თამაში 9. Airplane competition / თვითმფრინავების შეჯიბრი.

მიზანი: ეს თამაში საშუალებას მოგვცემს სახალისოდ და ენერგიულად გავიმეოროთ განვლილი თემა, ამასთანავე მეტყველების უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

რესურსი: თაბახის ფურცლები, ქულების აღმნიშვნელი სტიკერები.

თამაშის აღწერა: პირველ რიგში მოსწავლეებმა თაბახის ფურცლებისგან უნდა დაამზადოთ თვითმფრინავები (დროის მოგების მიზნით შეიძლება ეს თვითმფინავები მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს). შემდეგ მოსწავლეები დგებიან ერთ ხაზზე და

კითხვებზე სწორი პასუხების გაცემით ცდილობენ მოიპოვონ თვითმფრინავის გაფრენის უფლება. ამ შეჯიბრისათვის სხვადასხვა სასკოლო ნივთებს უნდა დავაწებოთ ქულების აღმნიშვნელი სტიკერები (მაგ. 5 ქულა კარი, 10 ქულა მერხი, 20 ქულა კარადა და ა.შ). როცა ყველაფერი მზად არის, ვუსვამთ შეკითხვას ბავშვს და თუ სწორად უპასუხებს შეუძლია ისროლოს და მოარტყას სამიზნე ობიექტს. რამდენ ქულიან საგანსაც მოარტყამს იმდენი ქულა დაეწერება. ეს თამაში შეიძლება გაკეთდეს ჯგუფურადაც.

თამაში 10. Name Memorizing Game / სახელების დასამახსოვრებელი თამაში

მიზანი: ამ აქტივობის მთავარი მიზანი მეხსიერების ყურადღების გავარჯიშებაა. ამასთანავე ისინი სწავლობენ როგორც ერთმანეთზე მოსმენას, ასევე მიღებულ ინფორმაციაზე ახალი ინფორმაციის დამატებას და გადმოცემას.

რესურსი: ამ თამაშისათვის რაიმე განსაკუთრებული რესურსები არაა საჭირო.

თამაშის აღწერა: ბავშვები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი საწყის ფრაზას უწერს დაფაზე მაგალითად, „ My name is … / მე მქვია ....“ . შემდეგ კი ეუბნება ერთერთ მოსწავლეს დაიწყოს ამ ფრაზით და დაამატოს რაიმე საკუთარ თავზე. პირველი მოსწავლე ამბობს მაგალითად, „My name is George and I like purple / მე მქვია გიორგი და მე მომწონს იასამნისფერი“, მეორე მოსწავლე ამბობს: „ This is George and he likes purple. My name is Ann and I am 8 years old. / ეს არის გიორგი და მას მოსწონს იასამნისფერი. მე მქვია ანა და მე ვარ 8 წლის. შემდეგი მოსწავლე ამბობს: „This is George and he likes purple. She is Ann and she is 8 years old. I am Levani and I like blue./ ეს არის გიორგი და მას მოსწონს იასამნისფერი. ეს არის ანა და ის არის 8 წლის. მე ვარ ლევანი და მე მომწონს ლურჯი. ასე გრძელდება მთელ წრეზე. გავარდება ის ვინც რომელიმე მოსწავლის შესახებ ინფორმაციას გამოტოვებს. გამარჯვებულია ის ვინც წრეში ბოლომდე დარჩება.

4.3. პრაქტიკული მეთოდები და აქტივობები საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებში

აქტივობა 1. T სქემა

T - სქემა

ტექსტი	ინდივიდუალური კომენტარი
მონაკვეთი 1.	კომენტარი 1.
მონაკვეთი 2.	კომენტარი 1.
მონაკვეთი 3.	კომენტარი 1.
მონაკვეთი 4.	კომენტარი 1.

სტრატეგია გამოიყენება ორ ფაზაზე (შინაარსის რეალიზება, რეფლექსია).

მიზანი: ეს მეთოდი საუკეთესო საშუალება ტექსტის საფუძვლიანად გაგებისათვის . ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს ტექსტი დავყოთ ნაწილებად ანუ ცალკეულ მონაკვეთებად და გავუმარტივოთ ბავშვებს საკუთარი მოსაზრებების და იდეების ჩამოყალიბება. ამასთანავე ის ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის მონაკვეთებს შორის კავშირის დადგენის და კრიტიკულ აზრის ჩამოყალიბებაში. ეს მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ გაკვეთილის ორ ფაზაზე: შინაარსის რეალიზება და რეფლექსია.

რესურსი: T სქემის ნიმუშებიანი ფურცლები.

მეთოდის აღწერა: მას შემდეგ რაც ბავშვები წაიკითხავენ ახალ ტექსტს. მასწავლებელი მათ აძლევს წინასწარ მომზადებულ T სქემიან თაბახის ფურცლებს და სთხოვს თავდაპირველად ტექსტი დაყონ იმდენ ნაწილად, რამდენიც არის სქემაზე მოცემული. სქემის მეორე მხარეს კი თითოეულ მონაკვეთს გაუკეთონ საკუთარი კომენტარი თუ რა აზრი გამოიტანეს და როგორ გაიგეს ის (ეს შეიძლება გავაკეთოთ წყვილებში ან ჯგუფურად). როცა ბავშვები მუშაობას დაასრულებენ, გამოდიან კლასის წინაშე და წარადგენენ თავინათ შევსილ სქემას, რის შემდეგაც ერთმანეთში მსჯელობენ და განიხილავენ.

აქტივობა 2. True and False / ჭეშმარიტია მცდარია.

მიზანი: ამ მეთოდს ვიყენებთ მაშინ როდესაც ვამოწმებთ რამდენად კარგად გაიგეს და ზუსტად აითვისეს ბავშვებმა ტექსტი. ეს სტრატეგია შეიძლება გავაკეთოთ როგორც კითხვარი ფურცელზე და ბავშვებმა სწორი პასუხები აღნიშნონ, ან ეკრანზე ვაჩვენოთ კითხვები, ან ჩვენ თვითონ წავუკითხოთ. ამგვარად ბავშვები გავარჯიშდებიან როგორც ვიზუალურ ასევე სმენით უნარებშიც.

რესურსი: ტექსტის მიხედვით წინასწარ მომზადებული კითხვარი.

მეთოდის აღწერა: თავდაპირველად მოსწავლეებს ვაკითხებთ ტექსტს, შემდეგ კი ისინი პასუხობენ შეკითხვებს, რომელია სწორი და რომელი - არასწორი. რომელ პასუხსაც დააფიქსირებს მოსწავლე შემდეგ ვთხოვთ, რომ ამ პასუხის დამამტკიცებელი ფრაზა მოძებნოს ტექსტში და წაიკითხოს ხმამაღლა, ანუ თითოეული კითხვის შემდეგ მიდის განხილვა.

აქტივობა 3. Debates / დებატები

მიზანი: ამ მეთოდის საშუალებით მოსწავლეებს ვეხმარებით განივითარონ სასაუბრო უნარები და ამასთანავე გამართულად შეძლონ ინგლისურ ენაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

რესურსი: ფურცლები წარწერით Agree-ვეთანხმები / Disagree - არ ვეთანხმები. საკამათო კითხვარები.

მეთოდის აღწერა: ვაძლევთ მოსწავლეებს ფურცლებს, რომლის ერთ მხარეს წერია „Agree-ვეთანხმები“ , ხოლო მეორე მხარეს წერია „Disagree - არ ვეთანხმები“. შემდეგ წავიკითხოთ ხმამაღლა საკამათო წინადადებები და თითოეულმა მოსწავლემ უნდა გვაჩვენოს ფურცელი ეთანხმება თუ არ ეთანხმება. შემდეგ ვთხოვთ მათ რომ აგვიხსნან თავიანთი მოსაზრებები და კლასში გავმართოთ დებატები მოსწავლეებს შორის.

აქტივობა 4. ვენის დიაგრამა



მიზანი: ამ მეთოდის გამოყენება შეგვიძლია მაშინ როდესაც გვინდა ორ ან მეტ საგანს ან შეიძლება პერსონაჟებს შორის ვიპოვოთ მსგავსება და განსხვავებები. ეს მეთოდი ასევე ავითარებს კითხვის უნარებს. მისი გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილის სამივე ფაზაზე (გამოწვევა, შინაარსის რეალიზება, რეფლექსია).

რესურსი: წინასწარ მომზადებული თაბახის ფურცლები ვენის დიაგრამით

მეთოდის აღწერა: კონკრეტული ტექსტის წაკითვის შემდეგ ბავშვებს ვაძლევთ აღნიშნულ დიაგრამას და ვთხოვთ, რომ დიაგრამის ღია ვარდისფერ ნაწილში ჩამოწერონ ტექსტში აღნიშნული საგნების/პერსონაჟების განმასხვავებელი ნიშნები, ხოლო დიაგრამის მუქ ვარდისფერ ნაწილში მათ შორის საერთო ანუ მსგავსი მახასიათებლები. ეს შეგვიძლია გავაკეთოთ ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. როცა მუშაობას მორჩებიან მოსწავლეები გამოდიან თავიანთი დიაგრამებით და აკეთებენ კლასის წინაშე მოკლედ პრეზენტაციას, რის შემდეგაც მსჯელობენ ერთმანეთში.

აქტივობა 5. პაუზებით კითხვა

მიზანი: ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად გავიაზროთ და გავიგოთ თხრობითი ტექსტები, გარდა ამისა მოსწავლეებს ეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, სწავლობენ ვარაუდის გამოთქმას, მსჯელობას არგუმენტებით და კითხვის სწორად დასმას.

რესურსი: წინასწარ ცალკეულ ნაწილებად დაყოფილი ტექსტი

მეთოდის აღწერა: წინასწარ დავყოთ ტექსტი ცალკეულ ნაწილებად. გაკვეთილის დაწყებამდე ყურადღება გავამახვილოთ ნაწარმოების ავტორზე, წერის სტილზე და ა.შ. ამის შემდეგ ავუხსნათ ბავშვებს, რომ ტექსტი უდა წაიკითხო პაუზებით და ყველა პაუზასთან შეჩერება მოუწევთ, ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ რომ ამ წესის დაცვა აუცილებელია. პირველი ნაწილი წავაკითხოთ გარკვეული დავალებით, მაგალითად, ამ ნაწილში ხაზი გაუსვით უცხო სიტყვებს, მონიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილები და ა.შ. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ბავშვებმა პირველი ნაწილი დაკვირვებით და ყურადღებით წაიკითხონ. პირველი შეჩერების შემდეგ მთელ კლასში იმართება დისკუსია-მსჯელობა, მაგალითად, გადმოეცით ეს ნაწილი თქვენი სიტყვებით როგორ გაიგეთ, რას თვლით თქვენ რომ ამ ნაწილში მნიშვნელოვანია და სხვ. სანამ მეორე ნაწილის კითხვას დაიწყებდნენ მოსწავლეებს ვთხოვოთ გამოთქვან ვარაუდი როგორ განვითარდება მათი აზრით მოვლენები? რატომ და რის საფუძველზე ფიქრობენ ასე? და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლეებს ვეუბნებით რომ გააგრძელონ კითხვა მეორე პაუზამდე. ასე ვაკეთებთ იმდენჯერ, რამდენ ნაწილადაც გვაქვს ტექსტი დაყოფილი, ანუ რამდენი პაუზაც არის. მთლიანი ტექსტის დასრულების შემდეგ გავმართავთ დისკუსიას - რა არის მთავარი აზრი ამ ნაწარმოების? ვის რა მოსაზრებები აქვს? გმირის ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? რატომ ფიქრობთ ასე და ა.შ.

აქტივობა 7. Descriptive drawing activity / განმარტებითი ხატვითი აქტივობა.

მიზანი: ეს მეთოდი ბავშვებს უვითარებს როგორც წარმოსახვით, ასევე მეტყველების უნარ-ჩვევებს.

რესურსი: სურათები, სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები.

მეთოდის აღწერა: დავაწყვილოთ მოსწავლეები და თითო მოსწავლეს მივცეთ სურათი. ეს სურათი ისე უნდა დავუდოთ რომ მისმა მეწყვილემ ვერ დაინახოს. შემდეგ კი მან, ვისაც სურათი ვაჩვენეთ, თავის მეწყვილეს ისე უნდა აუღწეროს, რომ მან შეძლოს მისი დახატვა.

IV თავის დასკვნა: თამაშებრივი მეთოდები და ხერხები უნივერსალობით ხასიათდებიან, ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ გაკვეთილის სხვადასხვა ფაზაზე, ამასთანავე სხვადასხვა მიზნებსა და ამოცანებს შეგვიძლია მოვარგოთ.თამაში ბავშვის განვიტარების პროცესში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ბავშვებს უმსუბუქებს სასწავლო პროცესს, ეხმარება ახალი მასალის ათვისებაში და უვითარებს სხვადასხვა უნარ-ჩვევებს. არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ თამაში ბავშვის საქმიანობის მთავარ ფორმას წარმოადგენს ის საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ სირთულეთა უმეტესი ფაქტორები, რომლებიც უცხო ენის სწავლის და პიროვნების ჩამოყალიბების პროცესებთან არის დაკავშირებული.

თავი 5. კვლევა უცხო ენის გაკვეთილზე თამაშების როლის მნიშვნელობის გამოსავლენად.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია თამაშების როლი უცხო ენის, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების პროცესში ჩავატარე კვლევა. კვლევის მიზანი იყო გამერკვია, რამდენად არიან ბავშვები ჩართული თამაშებში, რა როლი აქვს თამაშებს ბავშვების მოტივაციის ამაღლების მზრივ, რამდენად დადებითად მოქმედებს თამაშები ბავშვებზე როგორც სწავლის ასევე აღმზრდელობითი თვალსაზრისით. იმისათვის რომ კვლევა უფრო ნათელი და გასაგები ყოფილიყო შევადგინე კითხვარები (იხ. დან 1-2). როგორც მოსწავლეებისათის, ასვეე მასწავლებლებისათვის.კითხვარებიდან მიღებული შედეგები პროცენტული მაჩვენებლებით გამოვსახე ცხრილში (იხ. დან 3-4). კვლევაში მონაწილეობა მიიღი აჭარის კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. აღსანიშნავია ისიც რომ, კვლევაში ყველა საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, თუმცა შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავება, ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით, არ გამოვლენილა.

დანართი 1

კითხვარი მოსწავლეებისათვის.

1)იცით თუ არა რას ნიშნავს ინტერკულტურული (კულტურათაშორის დიალოგი) სწავლება?

1.ვიცი 2. არ ვიცი 3. გამიგია ტერმინი, მაგრამ არ ვიცი რას ნიშნავს.

2)იყენებს თუ არა მასწავლებელი გაკვეთილზე ინტერკულტურულ სწავლებასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან აქტივობებს/მეთოდებს?

1) კი 2) არა 3) არ ვიცი.

3) სასწავლო პროცესში უფრო მეტად მოტივირებული ვარ როცა ...

1) მასწავლებელი ხშირად მაქებს და აღნიშნავს ჩემს ძლიერ მხარეებს.

2) მასწავლებელი ხშირად მაკრიტიკებს და აღნიშნავს ჩემს სუსტ მხარეებს.

3) არცერთი ფაქტორი არ მოქმედებს.

4) გაკვეთილზე უფრო მერად მოტივირებული და აქტიური ვარ როცა ....

1) მასწავლებელი სხვადასხვა თამაშებს იყენებს გაკვეთილზე და ხშირად გვათამაშებს.

2)მასწავლებელი მხოლოდ გვაკითხებს და გვაწერინებს.

3) არცერთ შემთხვევაში.

5) ხართ თუ არა ჩართული აქტიურად თამაშებში და გიყვართ თუ არა თავის გამოჩენა?

1) კი 2) არა 3) ხანდახან

6)გჭირდებათ თუ არა დამატებითი მეცადინეობა თამაშების მერე?

1)კი, ხშირად 2)არა 3) იშვიათად

7) გსურთ თუ არა, რომ თამაშები უფრო ინტენსიურად (ხშირად) იყოს გამოყენებული მასწავლებლის მერ გაკვეთილზე?

1) კი 2)არა 3) აუცილებელია

დანართი 2 .

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1) ხშირად იყენებთ თუ არა ინტერკულტურულ (კულთურათაშორის დიალოგი) სწავლებასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს?

1.კი (ვიყენებ ხშირად) 2)არა (არ ვიყენებ) 3) ვიყენებ იმდენად რამდენდაც ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს.

2) როგორ ფიქრობთ თანამედროვე ინგლისური ენის გაკვეთილი უნდა იყოს თუ არა მრავალფეროვანი თამაშებითა და აქტივობებით გამდიდრებული?

1.კი 2. არა არის აუცილებელი 3. აუცილებელია

3)ხშირად იყენებთ თუ არა ისეთ თამაშებსა და აქტივობებს რომელიც ბავშებში მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს?

1) ვიყენებ ხშირად 2) ვიყენებ იშვიათად 3) საერთოდ არ ვიყენებ.

4) ბავშვებში მოტივაციის ამაღლების მიზნით თქვენი მათდამი დამოკიდებულება .....

1) პოზიტიური და განმავითარებელია

2) უარყოფითი და განმსაზღვრელია

3) სიტუაციის შესაბამისია.

5)იყენებთ თუ არა ისეთ თამაშებსა და აქტივობებს რომელიც სხვადასხვა უნარების (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარებას უწყობს ხელს.

1)კი 2) არა 3) არ შემიძლია ასეთი აქტივობების გამოყოფა.

6) თქვენი გამოცდილების მიხედვით როდის უფრო არიან მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში მეტად ჩართული?

1) როცა ვიყენებ მრავალფეროვან აქტივობებსა და თამაშებს გაკვეთილზე.

2) როცა ისინი პასიური მსმენელები არიან და მე აქტიური მოსაუბრე.

3) არ შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა

7) თამაშების აქტიურად გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, ეხმარება თუ არა ბავშვებს უცხო ენის სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევაში?

1) კი, ცალსახად. 2) არა, არანაირად 3) არ ვიცი

დანართი 3.

მოსწავლეთა გამოკითხვის პროცენტული მაჩვენებელი:

იცით თუ არა რას ნიშნავს ინტერკუ - ლტურული (კულტურათაშ ორის დიალოგი) სწავლება?	იყენებს თუ არა მასწავლებელი გაკვეთილზე ინტერკულტურ ულ სწავლებასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან აქტივობებს/მეთ ოდებს?	სასწავლო პროცესში უფრო მეტად მოტივირე ბული ვარ როცა ...	გაკვეთილზ ე უფრო მერად მოტივირებ ული და აქტიური ვარ როცა	ხართ თუ არა ჩართული აქტიურად თამაშებში და გიყვართ თუ არა თავის გამოჩენა?	გჭირდება თ თუ არა დამატები თი მეცადინე ობა თამაშები ს მერე?	გსურთ თუ არა, რომ თამაშები უფრო ინტენსიუ რად (ხშირად) იყოს გამოყენებ ული მასწავლე ბლის მერ გაკვეთი ლზე?
5%	**5%**	**100%**	**85%**	**87%**	**20%**	**100%**
85%	**85%**	**-**	**10%**	**5%**	**18%**	**-**
10%	**10%**	**-**	**5%**	**8%**	**62%**	**-**

დასკვნა: როგორც ვხედავთ,სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თამაშების გამოყენება სასწავლო პროცესში დადებითად მოქმედებს როგორც მათი მაღალი აკადემიური მოსწრების, ასევე მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით, ასევე მათი და ეხმარება მათ სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში. მეორეს მხრივ კი მათი ცოდნის დონე ინტერკულტურულ სწავლებასთან დაკავშირებით დაბალია. საბოლოოდ კი, გამოკითხულთა 100% ამბობს რომ მასწავლებელმა ინტენსიურად უნდა გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში.

დანართი 4.

მასწავლებელთა გამოკითხვის პროცენტული მაჩვენებელი:

ხშირად იყენებთ თუ არა ინტერკულ ტურულ (კულთურა თაშორის დიალოგი) სწავლებასთ ან დაკავ შირებულ მრავალფერ ოვან მეთო - დებსა და აქტივობებს ?	როგორ ფიქრობთ თანამედრო ვე ინგლ- ისური ენის გაკვეთილი უნდა იყოს თუ არა მრავალფერ ოვანი თამაშ ებითა და აქტივობები თ გამდი- დრებული?	ხშირად იყენებთ თუ არა,ისეთ თამაშებსა და აქტივ- ობებს რომელიც ბავშებში მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს?	ბავშვებში მოტივაციის ამაღლების მიზნით თქვენი მათდამი დამოკიდებ ულება	იყენებთ თუ არა ისეთ თამაშებსა და აქტივ ობებს რომელიც სხვადასხვა უნარების (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) განვითარებ ას უწყობს ხელს.	თქვენი გამოცდი ლების მიხედვი თ როდის უფრო არიან მოსწავლე ები საგაკვეთ ილო პროცესში მეტად ჩართულ ი?	თამაშების აქტიურად გამოყენება საგაკვეთი ლო პროცესში, ეხმარება თუ არა ბავშვებს უცხო ენის სწავლასთა ნ დაკავშირე ბული სიძნელეებ ის დაძლევაში ?
10%	**20%**	**72**	**90%**	**88%**	**82%**	**100%**
10%	**-**	**13**	**-**	**-**	**-**	**-**
80%	**80%**	**15**	**10%**	**12%**	**18**	**-**

დასკვნა: მასწავლებლებში ჩატარებულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ თამაშები პოზიტიურ გავლენას ახდენს ბავშვთა მრავალმხრივ განვითარებაზე, ის ეხმარება მათ სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში და ხელს უწყობს სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერკულტურული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების და აქტივობების გამოყენება მასწავლებლებშიც ნაკლებად პოპულარულია და არც ისე ხშირად იყენებნ მას.

ბიბლიოგრაფია:

1. („ინტერკულტურული საკომუნიკაციო კომპეტენცია, უცხო ენის გაკვეთილის მიზანი“ მარიკა სიხარულიძე 07.11.2012წ).
2. („თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი“, ეკატერინე შავერდაშვილი, 15.11.2013).
3. (ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1961წ, „ტექნიკური საშუალებანი უცხო ენის სწავლების პროცესში“ ა. ალხაზიშვილი, გვ.50-53)
4. („როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი“ სოფიკო ლობჟანიძე, 27.12.2015წ)
5. („სწავლის მოტივაცია - თეორია და სტრატეგიები“, მარიკა სიხარულიძე 01.04.2013)
6. („სასწავლო თამაშების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში დაწყებითი განათლების საფეხურზე“, ზეინაბ წულუკიძე, 2021წ გვ 8-14).
7. (განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ი. ხასაია „ უცხო ენის შესწავლის ხელშემწყობი პირობები დაწყებით კლასში“ 2018წ.)

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები:

8. https://ik-ptz.ru/ka/diktanty-po-russkomu-yazyku--5-klass/metody-izucheniya-inostrannogo-yazyka-luchshie-metody-i-sposoby.html
9. https://ief-usfeu.ru/ka/naibolee-effektivnye-metody-obucheniya-samye-effektivnye/
10. https://www.google.com/search?